პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის და თბ. კომიტეტის და საქ. ცაკ-ის ორგანო

ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—78, რედ. მოადგილის—28—37, ხაზინის—10—55. მთ. კანტორის—3—81

ოთხშაბათი, 11 აპრილი 1934 წ. № 85 (3941)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველვყოთ ჩაის მწვანე ფოთლის განუწყვეტელი კრეფა მთელი სეზონის განმავლობაში

ერთპიროვნულ მეურნეობების თესვას
განსაკუთრებული ყურადღება და ხელმძღვანელობა

1934 წლის საგაზაფხულო კულტურების საერთო სათესი ფართობიდან, რომელიც 636.657 ჰექტარს შეადგენს, ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით უნდა დაითესოს 417.265 ჰექტარი. ამგვარად დაახლოებით ორი-მესამედი მთელი იმ ფართობისა, რომელიც უნდა დაითესოს 1934 წლის საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის გეგმით, მოდის ინდივიდუალურ სექტორზე. ეს მდგომარეობა თავისთავად ლაპარაკობს იმ **განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე**, რომელიც თესვის ორგანიზებულად ჩატარებას ენიჭება **ერთპიროვნულ მეურნეობებში**.

საჭირო იყო საგაზაფხულო თესვის კამპანიის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ისე დაყენება, რომ თესვის გეგმების ვადაზე შესრულება უზრუნველყოფილ იყოს, როგორც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე **თითეულ ერთპიროვნულ მეურნის მიერ**. მაგრამ ეს არ ჩანს.

როგორც საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ძირითად სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ადგილებიდან მიღებული ცნობები გვიჩვენებს ხვნის, თესვის და მთელ რიგ სხვა სამუშაოებში ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით ჩვენ გვაქვს **სერიოზული გარღვევა**. 5 აპრილისათვის კოლმეურნეობებს **ხვნის** გეგმა შესრულებული ქონდათ 53.8 პროცენტით, ერთპიროვნულ მეურნეობებს კი 33,4 პროცენტით. იმავე ხუთი აპრილისათვის **თესვის** გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებული იყო 13 პროცენტით, ერთპიროვნულ მეურნეობებში კი 9,5 პროცენტით.

თუ ქვიდებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გეგმის შესრულებაში ასეთი უთანაბრობა გვაქვს ხვნისა და თესვის არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობის დროს საკოლმეურნეო სექტორში, მაშინ უფრო ცხადი გახდება ის სერიოზული საფრთხე, რომელიც თესვის ფრონტზე იქმნება ინდივიდუალური სექტორის **მკვეთრი** ჩამორჩენით.

საგაზაფხულო სამუშაოთა დარგში ინდივიდუალურ მეურნეობის ჩამორჩენა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ ბევრი ჩვენი რაიონული პარტიული ორგანიზაცია, სამიწადმოქმედო ორგანოები და განსაკუთრებით **სოფლის საბჭოები** არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ საქმეს, არ აფასებენ თესვის მნიშვნელობას ერთპიროვნულ მეურნეობებში, თვითდინებაზე არიან მინდობილნი, გამანადგურებელ **წინააღმდეგობას** არ უწევენ კულაკურ საბოტაჟს და სისტემატიურად **არ ეხმარებიან** თესვის ჩატარებაში მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებს.

ერთპიროვნულ მეურნეობებში თესვის სამუშაოთა ვადაზე შესრულების აშკარა შეუფასებლობის მკაფიო გამოხატულებას ჩვენ ვხვდებით **გორის** რაიონის ზოგიერთ სოფელში (ხურვალეთი, ახალსოფელი), ეს ფაქტები **„კომუნისტის"** გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა მაგრამ გორის რაიონი მარტო არ არის. აი მაგალითად **საგარეჯოს** რაიონი: იქ თესვის ვადები უკვე იწურება და ერთპიროვნულ მეურნეობებს ჯერ თესვის გეგმა ირთი მის[illegible] არა აქვთ შესრულებული. გამორკვეულია, რომ **სოფ. პატარძეულში, ხაშმსა და საგარეჯოში ერთპიროვნული მეურნეები თესავენ შეუწამლავ თესლს. მაგრამ ამას დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა არც საბჭოების, არც მიწგანის და პარტორგანიზაციების მიერ**

ანდა ავიღოთ მაგალითად **ძველი სენაკის** სოფსაბჭო (სენაკის რაიონი). აქ თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევენ იმ ერთპიროვნულ მეურნეებს, რომელთაც არ ყავთ მუშა-საქონელი და არა აქვთ სათანადო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ამ სოფელში ერთპიროვნულ მეურნეობებმა უნდა მოხნან 383 ჰექტარი, მოხნულია კი მხოლოდ 48 ჰექტარი. იმავე სენაკის რაიონის ბევრ სოფელში დაგვიანებით დაიყვანეს გეგმა-განრიგი ერთპიროვნულ მეურნეობებამდე.

ცხადია **ერთპიროვნულ** მეურნეობებისადმი ასეთი უყურადღებობა კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებს უადვილებს დამარღვევ მუშაობას, აძლევს მათ საშუალებას გააძლიერონ ბრძოლა საგაზაფხულო კამპანიის ჩაშლის მიზნით.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთპიროვნულ მეურნეობებისადმი უყურადღებობის მოთმენა. ერთპიროვნულ მეურნეობათა შორის სისტემატიური მასიურ - პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შეუფასებლობა **არის უხეში პოლიტიკური შეცდომა, რომელიც გადაჭრით უნდა აღიკვეთოს.**

ერთპიროვნულ მეურნეობებში თესვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება სოფლის საბჭოებს. საბჭოები მოვალენი არიან თავის ტერიტორიაზე უზრუნველყონ თესვის სახელმწიფოებრივი დავალების შესრულება თვითეულ ერთპიროვნულ მეურნეობის მიერ. მაგრამ ამისათვის არ კმარა მარტო გეგმა - განრიგის მექანიკური შედგენა და დარიგება. საბჭომ გულდასმით უნდა განიხილოს თითეული ერთპიროვნული მეურნისათვის ნაკვეთის გამოყოფის საკითხი და თესვის დავალების მიცემის დროს გაითვალისწინოს მეურნეთა **რეალური შესაძლებლობანი.**

საბჭოებმა უნდა უხელმძღვანელონ ერთპიროვნულ მეურნეთაგან **10 კომლიანი და 20 კომლიანი** ჯგუფების შედგენას თესვის დავალებათა **ორგანიზებულად** ჩატარების მიზნით, სათავეში ჩაუყენონ ამ ჯგუფებს საბჭოს აქტიური წევრები, რომელნიც იბრძოლებენ თესვის ტემპებისა და ხარისხისათვის.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს **კოლმეურნეობათა მიერ ერთპიროვნულ მეურნეთათვის საწარმოო დახმარების აღმოჩენას.** ეს დახმარება უმთავრესად უნდა გამოიხატოს სათესლე მასალის გაწმენდა-შეწამვლაში, მანქანა-იარაღების მიწოდებაში (თხოვება) სას. სამეურნეო ინვენტარების შეკეთებაში, აგრონომიულ რჩევა დარიგებაში და სხვ.

მთელი მასიურ პოლიტიკური მუშაობა და ყველა ღონისძიება საგაზაფხულო კამპანიასთან დაკავშირებით მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ამან ხელი შეუწყოს მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეების დარაზმვას, მათს საზოგადოებრივ აღზრდას, საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობაში დარწმუნებას და ამგვარად საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ ზრდას. სწორედ ეს გამომდინარეობს მე-17 პარტყრილობის დირექტივებიდან მეორე ხუთწლედში მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრების შესახებ.

გავაჩაღოთ მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა ერთპიროვნულ მეურნეთა შორის, მოვაწყოთ სოციალისტური სექტორის დახმარება მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებისადმი, დაუზოგავად დავარტყათ კულაკურ და ანტი-საბჭოთა ელემენტებს, დავრაზმოთ უპარტიო ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივი და ამით უზრუნველვყოთ როგორც საგაზაფხულო თესვის გეგმების ვადაზე მაღალხარისხოვნად შესრულება, ისე ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა მისწრაფების გაძლიერება კოლმეურნეობებისაკენ.

ხიროტა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

რომი, 9 აპრილი. „კორიერე დელა სერა" ათავსებს თავისი ტოკიოელი სპეციალური კორესპონდენტის საუბარს ხიროტასთან. ხიროტამ კორესპონდენტს განუცხადა:

„იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა დაძაბულობის ყველაზე დელიკატურ ფაქტორს წარმოადგენს საბჭოთა ჯარების კონცენტრაცია შორეულ აღმოსავლეთში და, უწინარეს ყოვლისა, სიმაგრეთა შენება მანჯურიის საზღვრის გაყოლებით. ცუდი ჩვეულება პოლიტიკური საზღვრების გადაქცევისა სამხედრო ნაგებობათა ჯაჭვად ევროპაში სისტემად გახდა, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა შემჩნეული აზიაში, 1904—1905 წლების და პორტსმუტის ზავის შემდეგ მაინც. შეიარაღებულ საზღვარი ახალი ფაქტია აზიის ისტორიაში.

აზიის კონტინენტზე, საზღვრებზე, რომლებიც ერთ ქვეყანას მეორისაგან ყოფს არსად არ არის სიმაგრეები გაკეთებული იმ საზღვრების გამოკლებით, რომლებიც საბჭოთა კავშირს ყოფს ახალ სახელმწიფოსაგან —მანჯოუგოსაგან".

„პრავდას" კომენტარიები

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ხიროტას განცხადება გაკვირვებას იწვევს. ის აცხადებს, აზიაში პირველად პორტსმუტის ხელშეკრულების დროიდან გაჩნდა შეიარაღებული საზღვრებიო. მაგრამ კარგადაა ცნობილი, რომ საზღვრების შეიარაღება დაიწყო სწორედ იაპონიამ, რომელიც ამ საქმეზე 1931 წლიდან მუშაობს. მანჯურია იაპონიის იმპერიალიზმის მიერ გადაქცეულია ნამდვილ სამხედრო პლაცდარმად.

პორტსმუტის ხელშეკრულებაზე მითითება შეუსაბამოა უკვე იმიტომ, რომ იგი იაპონიას უკრძალავს იყოლიოს შეიარაღებული ძალები ჩრდილ. მანჯურიაში. იაპონიის იმპერიალისტებს, რომლებიც არ მალავენ თავის აგრესიულ გეგმებს საბჭოთა ტერიტორიების მიმართ, ბუნებრივია, „არ მოსწონთ", რომ საბჭოთა კავშირმა გაამაგრა თავისი შორეულ აღმოსავლური საზღვრები. ისინი მოსურნე იქნებოდენ, რომ საბჭოთა მთავრობას უკან გაეწვია წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც ამ საზღვრებს იცავენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ განიარაღებული და დაუცველი საზღვრები უფრო ხელსაყრელია იმათ თვის, ვინც მათ გადალახვას აპირებს. მაგრამ საბჭოთა კავშირი სრულიადაც არ ფიქრობს დასტოვოს თავისი საზღვრები დაუცველად და მას არ აქვს სურვილი მიაყენოს ეს სიამოვნება არც ბატონ მინისტრს და არც მის შთამგონებლებს (ადხ).

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას შევხვდეთ ყოველმხრივ მომზადებული

საგაზაფხულო სამუშაოები ჩაის დარგში ძირითადად იხლა უკვე დამთავრებულია. **იწყება** ყველაზე საპასუხისმგებლო მუშაობა—**ჩაის მოსავლის აღება.**

ნაადრევი გაზაფხულის შედეგად, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა წელს **15—20 დღით ადრე იწყება**, ვიდრე წინა წლებში.

ეს გარემოება გვავალებს ყოველმხრივ **დავაჩქაროთ მოსამზადებელი მუშაობა**, რომ თვითეული კოლმეურნეობა, ჩაის საბჭოთა მეურნეობა, მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობა, შემსყიდველი პუნქტი, ჩაის ფაბრიკა სავსებით მომზადებული შეხვდეს ამ საქმის და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა-გადამუშავება მაღალი ხარისხით ჩატარდეს.

განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და **დამზადების გეგმების თვითეულ საბჭოთა მეურნეობამდე და კოლმეურნეობამდე დაყვანა.**

ახლავე უნდა მივიღოთ ზომები, რომ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფასთან ერთად მწყობრად ტარდებოდეს ჩაის პლანტაციების მოვლა, პლანტაციებში მოისპოს სარეველა ბალახი და ამრიგად უზრუნველყოფილ იქნას პლანტაციის მაღალი მოსავლიანობა შემდგომისათვის.

ჩაის ხარისხი არსებითად დამოკიდებულია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გადამუშავების პერიოდის (დროის) მაქსიმალურად შემცირებაზე.

ამიტომ ახლავე უნდა ჩატარდეს გზების შეკეთება ჩაის რაიონებში „საქართველოს ჩაიმ" დაკვრით წესით სრულ წესრიგში უნდა მოიყვანოს მთელი თავისი ავტოტრანსპორტი. მანქანები ჩაის რაიონებს შორის განაწილებულ უნდა იქნას ამ რაიონების სამუშაოთა მოცულობის მიხედვით.

„საქართველოს ჩაიმ" სასწრაფოდ უნდა გამოარკვიოს რამდენ ფოთოლს გადაზიდავენ ავტომანქანები. დანარჩენი ფოთლის გადმოზიდვის შესახებ ჩაის ფაბრიკებმა უნდა დადონ ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან, რომ ამრიგად თავიდან ავიცილოთ მოკრეფილი ფოთლის ხანგრძლივად დარჩენა მეურნეობაში, მისი დაჭკნობა და გაფუჭება.

სრულ წესრიგში უნდა იქნან მოყვანილი **ჩაის მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტები**. ამ პუნქტების გასულ წელს არსებული ქსელი მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს. **საჭიროა დამატებით პუნქტების მოწყობა**. თვითეული პუნქტი უზრუნველყოფილ უნდა იქნას საჭირო მოწყობილობით და მოწყობილობით.

მიმღები პუნქტის მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ მწვანე ფოთლის ჩაბარების დროს ჩამბარებლებს არ დასჭირდეთ ლოდინი, ჩაი სწრაფად იქნეს მიღებული, სწრაფადვე გადაეზავნოს ფაბრიკაში და თავიდან ავიცილოთ მისი ხარისხის გაუარესება.

„საქართველოს ჩაიმ" ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ჩაის კრეფის დაწყებისათვის ე. ი. 20 აპრილისათვის სრულ წესრიგში იქნან მოყვანილი არა მარტო ჩაის ძველი ფაბრიკები, არამედ ის **შვიდი ახალი ფაბრიკა, რომლებიც წელს პირველად უნდა გადავიდენ ექსპლოატაციაში.**

საბოლოოდ დაგმობილ უნდა იქნას ჩაის კრეფის ძველი წესი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ერთხელ მოკრეფდნენ ფოთოლს მთელს პლანტაციაში, შემდეგ. როგორიც უნდა ყოფილიყო ცალკე ბუჩქის მდგომარეობა, ხელს არ ახლებდნენ მას, სანამ მთელი პლანტაციის მეორე კრეფას არ დაიწყებდნენ. ამ წესის ნაცვლად წელს ყველგან შემოღებული უნდა იქნას **ჩაის მწვანე ფოთლის განუწყვეტელი კრეფა.**

მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს ლოზუნგით **„არ დავკარგოთ არც ერთი ყლორტი".**

ჩაის კრეფის გამომუშავების ნორმები უნდა დაწესდეს, თვითეული პლანტაციის მდგომარეობის მიხედვით.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებებმა უნდა უზრუნველყონ კოლმეურნეთათვის ავანსის მიცემა ჩაბარებული მოსავლის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით.

მეჩაიეთა პურით მომარაგება წელს საწარმოო დავალებათა შესრულების მიხედვით იწარმოებს. მომარაგების ასეთი წესი იძლევა დიდ სტიმულს მუშაობის მაღალი ნაყოფიერებისათვის.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დაწყებიდანვე კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებს შორის ფართოდ უნდა გაიშალოს სოც. შეჯიბრება. ამოქმედებულ უნდა იქნან ხარისხის ინსპექციები და თვითეული ბრიგადის მუშაობა შეფასებულ იქნას არა მარტო ჩაის კრეფის დავალებათა შესრულების, არამედ აგრეთვე იმის მიხედვით, თუ როგორ აქვს მოვლილი ბრიგადას პლანტაცია და როგორ ემზადება იგი მომავალ სამუშაოსათვის.

მიღწევებს თან ახლავს მრავალი დეფექტი
(ოზურგეთი, საქ. კორესპონდენტისაგან)

მიუხედავათ მრავალი სიძნელისა, საგაზაფხულო სამუშაოების გეგმები ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ამხ. ნებიერიძე) წარმატებით შეასრულა.

პირველი კვარტალის გეგმის შესრულება შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: — ახალი პლანტაციებისათვის მომზადებულია ნიადაგი 17 ჰექტარი, გეგმის 113,3 პროც., ჩაის პლანტაციები გაშენებულია 57 ჰექტარზე, რაც გეგმის 103,6 პროც. შეადგენს; კაპიტალური და მიმდინარე რემონტი ჩატარებულია 95 ჰექტარზე—გეგმა შესრულებულია 100 პროც., მინერალური სასუქი შეტანილია 95 ჰექტარზე—გეგმის 100 პროც., მომზადებულია ნიადაგი და უკვე დარგულია **ტუნგოს** ხის ნერგი 11 ჰექტარზე, შესრულებულია გეგმის 104,7 პროც.. ლიმონისათვის ნიადაგი მომზადებულია 9 ჰექტ. გეგმის 100 პროც. ა. შ.

მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე კულტურული მცენარეების გაშენების გეგმა. სატყეო სანერგე, რომელსაც აგრონომ-პრაქტიკოსი **ტკაჩენკო** ხელმძღვანელობს, სანიმუშოდ არის მოვლილი.

ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ბინების უვარგისობა. ამასთან ერთად **არსებული ბინები 50 პროცენტითაც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას.** ამჟამად მეურნეობა მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდის და თუ მუშა-ხელი დამატებით მოიყვანეს, მათი ბინებით უზრუნველყოფას **ვერ შესძლებენ.**

მეურნეობას ჩაის პლანტაცია გაშენებული აქვს 150 ჰექტარზე, მანდარინი 5 ჰექტარზე, ლიმონი 2.500 ძირი და ა. შ.

ამ ნარგაობათა მოსავლელად საჭიროა მუშათა მუდმივი კადრი, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას ბინებით. ამიტომ აუცილებელია ბინების დაუყოვნებლივ აგება. ბინების გარდა აგებული უნდა იქნას კლუბი, სამკითხველო, აბანო და სხვ.

ძალზე ცუდადაა დაყენებული მუშათა მომარაგება, კვება და საერთოდ კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურეობა. ყურადღება არ ექცევა მასობრივ-კულტურულ მომსახურებას და განსაკუთრებით ითქმის რუსი მუშების შესახებ, რომლებსაც არავინ აცნობს პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს.

მეურნეობის პარტკომის მდივანი **ამხ. ქობალიანი** ამ გარემოებას იმით ამართლებს, რომ მეურნეობას არ ყავს კულტმუშაკი და არ აქვს კლუბი.

ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშები მოწყვეტილი არიან რაიონის ცენტრს, რკინისგზას და სოფელს. მათი ასეთ პირობებში დატოვება დაუშვებელია.

„საქართველოს ჩაიმ" და ოზურგეთის რაიონის პარტორგანიზაციამ ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ და დაჩქარებით გამოასწორონ იგი.

ს. მასხულია.

შეჯიბრება ქაღალდზე
(სოხუმის რაიონი).

ნახევარ თვეზე მეტია, რაც გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. სამხარეო კომიტეტის და ამ.-კავ. მიწსახკომის პოლიტსექტორის დადგენილება მილოსტ-კურაგინის სამ.-სატ. სადგურის საკოლმეურნეო ბრიგადების ინიციატივის საფუძველზე საკოლმეურნეო, სატრაქტორო ბრიგადებისა და ბრიგადირებს შორის შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

როცა ჩვენ დავინტერესდით ამ შეჯიბრების მიმდინარეობით ცალკეულ კოლმეურნეობებში, სოხუმის რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, როგორც საუკეთესო მაგალითის მომცემი ამ მხრივ, დაგვისახელეს ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, საიდანაც თითქოს დაწყებულა ამ შეჯიბრების გაშლა.

გამოირკვა, რომ პოლიტგანყოფილების მუშაკების მიერ მოწვეულ თათბირზე დამუშავებულა შეჯიბრების პირობები, მაგრამ წავიდენ თუ არა პოლიტგანყოფილების წარმომადგენლები— შეჯიბრების საკითხიც მიივიწყეს. ცალკე ბრიგადებისა და ბრიგადირებისათვის სოცშეჯიბრების კონკრეტული მაჩვენებლები (გადაბეჭდილია რემინგტონზე) აწყვია შრომის ორგანიზატორის (ამხ. გაგუას) უჯრაში.

ძირითადი სამუშაოები: გერანისათვის ნიადაგის მომზადება და მისი დარგვა წარმოებს სოცშეჯიბრების გარეშე. შრომის ორგანიზატორი პირობას იძლევა, რომ ის შეჯიბრების ხელშეკრულების პირობებს გააფორმებს ყოველ მიზეზის გარეშე, მაშინ როდესაც ამ ხელშეკრულების მთელი იგივ მუხლები ვადა გადასულია. მაგ.: ხელშეკრულებებში (დადებული № 1 და № 2 ბრიგადებს შორის) ნახავთ ასეთ ვალდებულებებს: „სუპერფოსფატის შეტანა (3 ცენტნერის რაოდენობით) თითო ჰექტარზე დავიწყოთ 25 მარტიდან და დავამთავროთ 10 აპრილამდე; გერანის დარგვის დაწყებამდე შევწამლოთ ნიადაგი მავნებლების მოსპობის მიზნით, მაშინ როდესაც გერანი უკვე სანახევროდ დარგულია. ამ კოლმეურნეობაში არ არის გამოყოფილი ხარისხის ინსპექციები.

— მართალია, ვერ მოვასწარით ხარისხის ინსპექციების გამოყოფა, მაგრამ სამაგიეროდ გვყავს ღამის ყარაული, რომელიც აჯარიმებს ხალხს, თუ ვინმემ რამე ძოვა, ან გააფუჭა—გვიპასუხებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შულაია.

ბოლოს როგორც იქნა დავითანხმეთ შულაია, რომ ხარისხის ინსპექცია სხვაა და ღამის ყარაული კიდევ სხვა.

ამგვარად, ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობაში სოცშეჯიბრება ბრიგადებსა და ბრიგადებს შორის ქაღალდზე დარჩა.

არ არის საკმარისი სოცშეჯიბრების წამოწყება თათბირების გამართვით, არამედ საჭიროა ამ შეჯიბრების ყოველდღიური ხელმძღვანელობა, ბოლომდე მიყვანა, მისი შედეგების სისტემატიურად შემოწმება.

„კომუნისტის" ბრიგადა: გ. მაჭავარიანი, გ. გიორგაძე.

კოლმეურნეობის წევრთა ნახევარი არ გამოდის სამუშაოდ
(ლანჩხუთი, საქ. კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღრიცხვის მოწესრიგებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. სწორედ ეს ორი ძირითადი პირობა არ არის მოწესრიგებული სოფ. ნიგვზიანის კოლმეურნეობაში.

დავიწყოთ ფაქტებიდან: ნიგვზიანის კოლმეურნეობაში სულ 208 **მუშახელი ირიცხება**, აქედან სისტემატიურად მინდვრის **სამუშაოებზე მხოლოდ ნახევარი გამოდის.** ასე მაგალითად, 15 მარტს, როდესაც კოლმეურნეობაში გახურებული მუშაობა იყო, სამუშაოზე გამოვიდა 101 კაცი და ქალი, 16 მარტს გამოვიდა 116, 17 მარტს—125.

როდესაც ჩვენ შევამოწმეთ ამ კოლმეურნეობაში სამუშაო დღეების გაცდენის მდგომარეობა, გამოირკვა, მეტად არასასიამოვნო სურათი. **15 მარტიდან 26 მარტამდე კოლმეურნეობაში გაცდენილია 952 კაცდღე.**

შრომის დისციპლინა განსაკუთრებით დაცემულია მე-5 და მე-6 ბრიგადებში. **მე-5 ბრიგადაში** (ბრიგადირი **ი. გიგინეიშვილი**) ირიცხება **44 კოლმეურნე, სამუშაოზე კი გამოდის არა უმეტეს 25-ისა.** ამ ბრიგადაში 11 დღის განმავლობაში გაცდენილია 215 კაცდღე. **მე-6 ბრიგადაში** (ბრიგადირი ა. ტულუში) 11 დღის განმავლობაში გაცდენა უდრის 209 კაცდღეს. თითქმის ასეთივე სურათია ყველა დანარჩენი ბრიგადები, გარდა № 3 ბრიგადისა.

გარდა ამისა, რომ დიდია სამუშაო დღეების გაცდენა, **ადგილი აქვს აგრეთვე სამუშაოზე გვიან გასვლის მრავალ ფაქტებსაც.** 4 აპრილს, კოლმეურნეები დილით ადრიანად უნდა გასულიყვნენ არხის გასაჭრელად, ამინდი კარგი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა **მუშაობა დაწყებული იქნა შუადღის 12 საათზე.** ზოგიერთი კოლმეურნე კი პირველ საათზე გამოცხადდა სამუშაოდ.

შრომის დისციპლინის ასე შესუსტების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ აქ არ იყენებენ და **ცხოვრებაში არ ატარებენ კანონს ზარმაცებთან და შრომის დეზერტირებთან ბრძოლის შესახებ.** კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაცია და გამგეობა თითქმის არავითარ ზომებს არ იღებენ შრომა-დღეების გამცდენლების წინააღმდეგ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ცალკე ბრიგადებში დღემდე ირიცხებიან და კოლმეურნეობის წევრად ითვლებიან ისეთი ხალხი, რომელთაც **მიმდინარე წლის განმავლობაში არ გამოუმუშავებიათ არც ერთი შრომა-დღე. ესენია: ივანე აფხაზავა, დ. დობორჯგინიძე, ე. აფხაზავა, ფ. მოისწრაფიშვილი, მ. რუსიეშვილი, ს. ქასრაძე, ა. აფხაზავა, იასონ რუხაძე, ვ. აფხაზავა, ა. კვაჭაძე** და სხვ.

ეს „კოლმეურნეები" თავისუფლად გრძნობენ თავს, მუშაობენ ფაკიხთ კერძო საქმეზე, სარგებლობენ კოლმეურნეობის წევრობის ყველა შეღავათებით და საკოლმეურნეო შრომაში კი არ იღებენ არავითარ მონაწილეობას.

ასევე მოუწესრიგებელია შრომის აღრიცხვაც. 25 მარტამდე გამომუშავებული შრომადღეები ჯერაც არ არის გადატანილი და ჩაწერილი შრომის წიგნაკებში. № 4 ბრიგადიდან 20 კოლმეურნე ქალის მიერ მარტის განმავლობაში გამომუშავებული შრომადღეები 4 აპრილისათვისაც არ იყო წარმოდგენილი კოლმეურნეობის საანგარიშო ნაწილში, ეს იწვევს ბევრ გაუგებრობებს და უკმაყოფილებას კოლმეურნეთა შორის და ხელს უშლის კოლმეურნეების დაინტერესებას მუშაობით.

მოვითხოვთ ამ მდგომარეობისადმი ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების მიერ სასწრაფო ყურადღების მიქცევას და ყველა იმ კულაკური და ანტი საკოლმეურნეო ელემენტების გამოაშკარავება - დასჯას, რომელნიც აღრიცხვის არევ-დარევით და შრომის დისციპლინის შერყევით ცდილობენ კოლმეურნეობის დანგრევას და თესვის კამპანიის ჩაშლას.

ვ. ქარსელაძე.

დავალება დროზე შეასრულეთ

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (ოზურგეთის რაიონი) პარტიული ორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობით, მუშების და სპეციალისტების ენერგიული მუშაობით, საგაზაფხულო სამუშაოები ჩაის დარგში თავის დროზე შეასრულა.

ჩაის პლანტაციების გასხვლის, საზამთრო გადაბარვის და მიმდინარე რემონტის გეგმები შესრულებულია 100 პროცენტით. ჩაის პლანტაციები აღდგენილია 35 ჰექტარზე (გეგმის 700 პროც.), სადრენაჟო ქსელი გაყვანილია 21.354 მეტრის სიგრძეზე (გეგმის 133 პროც.), სასუქი შეტანილია 403 ჰექტარზე (გეგმის 100 პროც.), ქარსაცავები გაშენებულია 17 ჰექტ. (გეგმის 100 პროც.), გაჩაღებულია მზადება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წარმატებით ჩატარებისათვის.

მეურნეობის დირექტორი ს. ორაგველიძე
პარტკომის მდივანი კუპრაძე.

ამხ. მ. ა. ჩერნოვი—ს. ს. რ. კ-ს მიწადმოქმედების სახალხო კომისარი

ს.ს.რ.კ.-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოვალეობისაგან ამხ. ი. ა. იაკოვლევის განთავისუფლების შესახებ

ს.ს.რ.კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ს.ს.რ.კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილებულ იქნას ამხ. იაკობ არკადის ძე იაკოვლევის თხოვნა მისი ს.ს.რ.კ.-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ს.ს.რ.კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს.ს.რ.კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
1934 წლის 10 აპრილი.

ს.ს.რ.კ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად ამხ. მ. ა. ჩერნოვის დანიშვნის და ს.ს.რ.კ.-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეებად ამხ. ა. ი. მურალოვის, ფ. ა. ცილკოს და ა.ა. ლევინის დამტკიცების შესახებ

ს.ს.რ.კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ს.ს.რ.კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1) „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის დარგში ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ" ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 15 მარტის დადგენილებასთან შეფარდებით (ს.ს.რ. კავშირის 1934 წლის კანონთა კრებული № 15, გვ. 103). ს.ს.რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგია ჩაითვალოს ლიკვიდირებულად.

2) ს.ს.რ.კ.-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. მიხეილ ალექსანდრეს ძე **ჩერნოვი**.

3) ს.ს.რ.კ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ დამტკიცებულ იქნას ამხ. ალექსანდრე ივანესძე მურალოვი, მეორე მოადგილედ— ამხ. თედორე ანდრიას ძე ცილკო და მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში, ამხ. ალექსანდრე ანდრიას ძე ლევინი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს.ს.რ.კ.-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი-კრემლი.
1934 წ. 10 აპრილი.

დადგენილება
ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას ამხ. მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩერნოვი ს.ს.რ.კ.-ის სახკომსაბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი.

ს.ს.რ.კ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ი. მიულაუკი.

მოსკოვი, კრემლი
1934 წ. 10 აპრილი

ამხ. ს. მაკაროვსკის გარდაცვალება

მოსკოვი, 10 აპრილი. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი მწუხარებით იუწყება ავიო-მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილისა და მთავარი ინჟინერის სერგო ოსიპის-ძე მაკაროვსკის უეცარ გარდაცვალებას პასუხსაგებ საბრძოლო პოსტზე (ადხ).

ამხ. მაკაროვსკის ოჯახს

გიცხადებთ ჩვენს მწუხარებას და თანაგრძნობას საბჭოთა კავშირის სამრეწველო ინდუსტრიის ერთ-ერთი გამოჩენილი და აქტიური მუშაკის ამხ. სერგი ოსიპის-ძე მაკაროვსკის გარდაცვალების გამო

სტალინი
მოლოტოვი
კუიბიშევი
კალინინი
ორჯონიკიძე
პიატაკოვი
ჟდანოვი.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ის და რესპუბლიკათა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მოსკოვსა და სხვა ქალაქებში წარმომადგენლებისა და აგენტების მივლინების შესახებ

ხ.შ.ნ, როცა მოსკოვში არსებობს ამიერ-კავკასიის მუდმივი წარმომადგენლობა, ამიერ-კავკასიის მთელი რიგი საბჭოთა, სამეურნეო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციები, ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ არაერთხელ მიცემულ მითითებათა მიუხედავად, კვლავ აგზავნიან მოსკოვსა და სხვა ქალაქებში განსაკუთრებული საჭიროების გარეშე, თავის წარმომადგენლებს და აგენტებს, რომლებიც იქ ხანგრძლივად რჩებიან და ამ უმიზნო მივლინებებზე სახელმწიფო ფულს ანიავებენ.

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას დაუყოვნებლივ შეამოწმოს, თუ ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკური ორგანიზაციების რომელი წარმომადგენელი და აგენტი იმყოფება მოსკოვში, და ყველას, იმათ გარდა, ვინც რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების ან პარტიის ც.-კ-ის მიერ არიან მივლინებული, წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაბრუნდეს ამიერ-კავკასიაში, ამასთან თვალყური ადევნოს ამის შესრულებას.

2. წინადადება მიეცეს საბჭოთა, სამეურნეო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციათა ყველა ხელმძღვანელს შეწყვიტოს თავის წარმომადგენლების და აგენტების მივლინება მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, თუ ამაზე არ არის ა.-კ. სახკომსაბჭოს ან საქ. კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების ან პარტიის ც. კ-ის განსაკუთრებული სანქცია. მივლინებაში ყველა მყოფი დაუყოვნებლივ იქნას გამოწვეული. ამის დარღვევისათვის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მიცემულ იქნან უსასტიკეს პასუხისგებაში, თვით სამუშაოდან მოხსნამდე და სამართალში მიცემამდე.

3. დაევალოს საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტთან არსებული პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ჯგუფს შეამოწმოს, ვის მიერ და რა საქმეების გამო იყვნენ მოსკოვში მივლინებული ის პირები, რომელნიც, პრესაში გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, დაპატიმრებული და მოსკოვიდან გამოსახლებული იქნენ. და მისცეს ისინი და მათ მიმავლინებელ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები პასუხისგებაში.

გადასახლება ლოთობისა და დებოშისათვის

მოსკოვი, 10 აპრილი. დაპატიმრებულია მთელი რიგი პირები, რომლებიც ლოთობდნენ და დებოშს ახდენდნენ ქ. მოსკოვის ნოვო-მოსკოვის და სხვ. სასტუმროებში. მათ შორის მოსკოვის სასტუმროებში ცხოვრების არსებული წესების დარღვევისათვის ერთი თვით დაპატიმრებული არიან შემდეგი პირები, რომლებიც პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ეტაპით იქნებიან გადასახლებული მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე:

ა. ხ. ახლოიანი — საქტყესარეწკავშირის რწმუნებული (ტფილისი).
ი. პ. როჟინაშვილი — ქუთაისის საბავშვო კომისიის აგენტი.
ა. ს. გალუსტიანი — საქერბო-კარაქმრეწვის საგეგმო - ეკონომიური სექტორის გამგე (ტფილისი).
ზ. ა. ტეკმიშევი — აფხაზეთის მარაგგასაღების სახკოოპკავშირის (სოხუმი).
ა. ა. როტმაში — გაურკვეველი ხელობის.
ა. მ. საფაროვი — „სოიუზნაკუპტორგის" სამხარეთაშორისო კანტორის დირექტორი (როსტოვი).
ი. ა. ცერაძე — გაურკვეველი ხელობის (გორი).
ვ. ა. ჯობაძე — ქუთაისის სახ. პარტიზანთა კომიტეტის სავაჭრო აგენტი მომარაგების დარგში (ქუთაისი).
პ. ი. სპექტორი — გაურკვეველი ხელობის.
შ. მ. ჯანიბაქოევი — „სოიუზქიმნაბსბიტის" ა.-კ. კანტორის მმართველი.
ნ. ე. ზარუცკი — „ექსპორტლესის" ტექნიკოსი — მშენებელი (სოხუმი).
ი. ე. მაჭავარიანი — რწმუნებული დამზადების დარგში.
ა. ა. მარგველაშვილი — საქ. სატყეო ტრესტის მომარაგების უფროსი.
ვ. დ. გველესიანი — დამცველთა კოლეგიის წევრი (ტფილისი).
ლ. კ. ნაროუშვილი — გაურკვეველი ხელობის.

დანარჩენი ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქეები როგორც აგრეთვე მხილებულნი სისხლის სამართლის დანაშაულში, დაპატიმრებული და სამართალში არიან მიცემული:

ს. მ. სოხანაშვილი — საქბირჟის მმართველის დირექტორი (ტფილისი).
ი. ტ. ჯანელიძე — ვარციხის საბჭოთა მეურნეობის აგენტი მომარაგების დარგში (ქუთაისი).
ი. შ. ბელიძე — სამკერვალო არტელის მომარაგების აგენტი (ტფილისი).
ა. ი. ცხაკაია — წითელ პარტიზანთა საბჭოს აგენტი მომარაგების დარგში (ქუთაისი).
პ. კ. კაზაჩენკო — აჭარისტანის მრეწველობის სახალხო კომისარიატის თუჯის ჩამომსხმელ მექანიკური ქარხნის მომარაგება-გასაღების განყოფილების გამგე.
ა. ხ. გვანცელაძე — ქუთაისის ქალაქის მუშკოოპის აგენტი მომარაგების დარგში (ქუთაისი).
მ. ვ. ფიჩხაძე — რიონჰესის მუშკოოპის აგენტი მომარაგების დარგში (ქუთაისი).
ვ. გ. ბუაძე — ყაზბეგის ანდეზიტის მშენებლობის წარმომადგენელი (ტფილისი).
ვ. ა. მთაწმინდელი — ჯანსახკომის და ა.-კ. სახკომსაბჭოს სამკურნალო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.
ა. გ. გაბუნია — საქართველოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (ტფილისი).
გ. კ. ლი[illegible]თქვაფანიძე — ხრამჰესის მშენებლობის მომარაგების უფროსი (ტფილისი).
ვ. თედეაშვილი — „ბაშსტაქკავშირის" მუშათა დახურული კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.
მ. გ. ფურცხვალაძიშვილი — გაურკვეველი ხელობის (ადხ).

კომუნისტების აქტივობას საკოლმეურნეო ბრიგადებში ვამოწმებთ

(რაიკომის ინსტრუქტორის წერილი)

სანამ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ლანჩხუთის პარტრაიკომის რეორგანიზაცია ჩატარდებოდა ვმუშაობდი რაიკომის ინსტრუქტორად. ველოდებოდი რაიკომის მდივნის ან საორგანიზაციო განყოფილების გამგის დავალებებს. პარტორგანიზაციებში მაშინ მივდიოდი, როდესაც რაიკომიდან ასეთ დავალებებს მივიღებდი ან და რაიმე გამოსარკვევი საქმე იყო. ჩემი მუშაობის 80 პროც.-ს ვანდომებდი გამორკვევას. როცა მომიხდებოდა წასვლა პირველად პარტორგანიზაციაში ამა თუ იმ საქმის შესამოწმებლად, ნაკლებ ვიჭერდი კავშირს ცოცხალ ადამიანებთან. უმთავრესად ვემყარებოდი ოქმებს, ქაღალდებს, მუშაობას ვაფასებდი იმისდამიხედვით თუ როგორ იყო დაწერილი ოქმი, რეზოლუცია.

რაიკომის ბიუროს სხდომებისათვის ერთი კვირით ადრე ვამზადებდი საკითხებს, ვწერდი და ვაბეჭდვინებდი მეზანქანეებს დიდ რეზოლუციებს.

სულ სხვანაირად ვმუშაობ ეხლა. 15 მარტიდან ვითვლები ლანჩხუთის რაიკომის გამსვლელ პასუხისმგებელ ინსტრუქტორად.

მოცემული მაქვს ჩაის ზონის შვიდი სასოფლო საბჭო, რომელშიაც შედის 16 კოლმეურნეობა. მუშაობის დაწყებისთანავე პირველ მიზნად დავისახე კარგათ შემესწავლა ჩემი სამოქმედო რაიონის თვითეული პარტწევრი, შემემოწმებია პარტიული ძალების განაწილება ბრიგადებში, შემესწავლა საკოლმეურნეო აქტივი და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმე.

ამას მე ძირითადად მივაღწიე, ორგანიზაციებს ვუკავშირდები უშუალოდ საკოლმეურნეო მინდვრებზე, მათ ვსწავლობ მუშაობის პროცესში. ვიცნობ თითქმის ყველა კომუნისტის საწარმოო პოლიტიკურ აქტივობას.

4 აპრილს ნიგვზიანის კოლმეურნეობის ბრიგადებში ვარ.—ამ კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. გიგინეიშვილი მეუბნება: „ამხანაგო, ჩემს ბრიგადაში არიან დეზერტირები და ზარმაცები ი. აფხაზავა, ე. აფხაზავა, მოსე რუხაძე და სხვ., ამათ არც ერთი შრომა-დღე არ გამოუმუშავებიათ წელს კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობიდან მათი გარიცხვის საკითხი დავაყენე პარტორგანიზაციაში და კოლმეურნეობის გამგეობაში, მაგრამ მათ ყურადღება არ მომაქციეს. ბრიგადა სულ მალე დამეშლება. მიიღეთ ზომები". მე შევამოწმე კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის და დისციპლინის საქმე. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობა მართლაც დანაგვიანებული იყო დეზერტირებით და ზარმაცებით. მარტო ამხ. გიგინეიშვილის ბრიგადაში ხლმოჩნდა ათი ისეთი კოლმეურნე, რომელთაც მიმდინარე წელს არ გამოუმუშავებიათ არც ერთი შრომა-დღე. ამ კოლმეურნეობაში 15 მარტიდან 26 მარტამდე სამუშაოს გაცდენა უდრის 952 კაცდღეს (კოლმეურნეობაში არის 208 მუშახელი). ნიგვზიანის პირველად პარტორგანიზაციას და კოლმეურნეობის გამგეობას არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ საქმისათვის. საკითხი შევუთანხმე რაიკომს და პოლიტგანყოფილებას და კოლმეურნეობიდან გავწმინდეთ უცხო ელემენტები და დეზერტირები. ახლა მდგომარეობა გამოსწორებულია.

ამხ. შ. ქარსელაძე

მთავარ ყურადღებას, ვაქცევ ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებების დამუშავება - შესწავლას და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე პირველადი, პარტორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნას.

მაჩხვარეთის, ზემო-ჩიბათის და ნიგვზიანის პირველად პარტორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება. პროპაგანდისტ ამხ. ს. ხელაძის დაუდევრობით ჯურუყვეთის პარტორგანიზაციაში პარტგანათლება მთლიანად ჩაშლილი იყო. ახლა ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. აღნიშნულ პარტორგანიზაციებზე მიმაგრებული არიან პროპაგანდისტები, რომლებიც აწარმოებენ ამხ. სტალინის მოხსენებისა და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებას.

მე და პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწემ ამხ. ცხვარაძემ შევამოწმეთ ჩიბათის პირველად პარტორგანიზაციაში მე-17 პარტყრილობის და ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავების საქმე. გამოირკვა, რომ პარტიის წევრებს საფუძვლიანად არა აქვთ შესწავლილი ამხ. სტალინის მოხსენება. კიდევ მეტი: პარტიის ზოგიერთ წევრს არც კი წაუკითხავს ბელადის მოხსენება. როდესაც შევეკითხეთ პარტიის წევრ ამხ. იასონ მარგალიტაძეს (სასაქონლო ფერმის გამგე) რა ამოცანა დასახა ამხ. სტალინმა მესაქონლეობის განვითარების შესახებ, მან განაცხადა: „ამხ. სტალინის მოხსენება არ წამიკითხავს, ყოველდღე საქონელთან ვარ და როდის უნდა წავიკითხო!".

ჩვენ დავაყენეთ საკითხი ამხ. სტალინის მოხსენების განმეორებით და საფუძვლიანად დამუშავების შესახებ. ახლა თვითონ ვაწარმოებ ჩემს სამოქმედო ზონაში შემავალ პირველად პარტორგანიზაციებში და კოლმეურნეობებში ამხ. სტალინის და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილების დამუშავების შემოწმებას და იქვე ვღებულობთ ზომებს დეფექტების გამოსასწორებლად. უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიკომის ზოგიერთ შტატიან პროპაგანდისტს ჯერ კიდევ სერიოზულად არ მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის. მათი ხელმძღვანელობა პარტგანათლების ქსელში ძალზე სუსტია. ფორმალურად უდგებიან ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილების დამუშავებას, ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი საუბარი ჩაატარონ, მის შინაარსზე კი ნაკლებად ზრუნავენ.

ჩემი მუშაობის მეთოდი და პრაქტიკა ასეთია: შედგენილი მაქვს კალენდარული ძირითადი გეგმა, ამ გეგმის მიხედვით ვიცი როდის, რომელ პირველად პარტორგანიზაციაში უნდა მივიდე და რა საკითხებს უნდა მივაქციო ყურადღება. მაქვს პატარა წიგნაკი. ამ წიგნაკში ვიწერ შენიშვნებს ვის რა დავალება მივეცი და როდის უნდა შესრულდეს. განსაზღვრული დროის განმავლობაში ვახდენ დავალების შესრულების შემოწმებას. ვიწერ იმ საკითხებს, რომელიც მე მომეცა რაიკომის მდივნის, ან მისი მოადგილის მიერ. რამოდენიმე დღის განმავლობაში რაიკომის მდივანს ან მის მოადგილეს ვუკეთებ სიტყვიერ ინფორმაციას ჩატარებულ მუშაობაზე. ხოლო ამისათვის მე არ მიხდება რაიკომში მისვლა, რადგან რაიკომის მდივანი და მისი მოადგილე თითქმის ყოველ მეორე დღეს ჩამოდიან კოლმეურნეობებში და იქ ვათანხმებთ მთელ რიგ საკითხებს.

ჩემი მუშაობის ერთ-ერთი სუსტი მხარე ის არის, რომ დღემდე ვერ შევძელი ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავება დამკვრელ კოლმეურნეთა ოჯახებში. ამ ნაკლს დაჩქარებით გამოვასწორებ.

საქ. კ.პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი **ქარსელაძე.**

საქართველოს სსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეათე მოწვევის მესამე სესიის მიერ მიღებული დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქ. სსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ - გასავლის ჯუმლი 214.298,5 ათასი მანეთის საბალანსო თანხის რაოდენობით.

ა) შემოსავალი

ა) განსაზოგადოებული სექტორის საგადასახადო შემოსავალი	142.981,0
ბ) მოგების ანარიცხები	10.525,0
გ) მოსახლეობის სახსართა მობილიზაცია	59.875,5
დ) სხვადასხვა შემოსავალი	917,0

ბ) გასავალი

ა) სახალხო მეურნეობის დაფინანსება	**51.999,0**
აქედან:	
1) მძიმე მრეწველობის სახალხო კომის. მრეწველობა	13.850,0
2) ელექტროფიკაცია	140,0
3) მსუბუქი მრეწველობის სახ. კომ-ტის მრეწვ.	7.856,0
4) მომარაგების სახ. კომისარიატის მრეწველობა	100,0
5) კინო-ფოტო მრეწველობა	4.185,0
6) სასოფლო მეურნეობა (ტრესტირებული საბჭოთა მეურნეობანი, საკოლმეურნეო მშენებლობა და მიწსახკომის ღონისძიებანი, წყალთა მეურნეობის ღონისძიებანი)	18.199,0
7) სახელმწიფო ვაჭრობა	1.688,0
8) კომუნალური მეურნეობა	400,0
9) ურელსო ტრანსპორტი	4.601,0
10) სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის საჭირო სხვა ხარჯები	980,0
ბ) სოც. კულტურული ღონისძიებანი	**72.818,5**
აქედან:	
1) განათლება	55.778,5
2) ჯანმრთელობა	13.783,0
აქედან კურორტების დაფინანსება	6.700,0
3) ფიზკულტურა	122,0
4) სოციალური უზრუნველყოფა	2.635,0
გ) მმართველობა და რეგულირება	4.556,0
დ) სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდი	375,0
ე) სხვა ფონდები	1.500,0
ვ) სოც. დაზღვევის ანარიცხები	2.105,0
ზ) ადგილობრივ ბიუჯეტში გადასარიცხი სახსარი	81.445,0

2. ანარიცხები ბრუნვის გადასახადისა და საბიუჯეტო წანამატებისა საქართველოს სსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში განისაზღვროს 134.007,0 ათ. მანეთით; აქედან: ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადები სავალდებულო ბრუნვის ანარიცხი 29.423,0 ათ. მან..

3. საქართველოს სსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის სრულად მიღების უზრუნველსაყოფად:

ა) წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, იმ შემთხვევაში, თუ კვარტალური ანარიცხები სამეურნეო ორგანიზაციათა მოგებიდან არ შემოვა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს სახალხო კომისართა საბჭოს და წარუდგინოს თავისი მოსაზრებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს ბიუჯეტით გათვალისწინებული ანარიცხების მიღებას, აგრეთვე მოსაზრებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება და საგასავლო ნაწილის შეთანხმება საშემოსავლო წყაროებით.

ბ) წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო კომისარიატს, სამეურნეო ანგარიშის მტკიცე განხორციელებით, თვითღირებულების შემცირებით და შრომის ნაყოფიერების გადიდებით სავსებით განახორციელონ დაგროვებათა მთელი პროგრამა და თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე (ანარიცხები მოგებიდან, ბრუნვის გადასახადი და სხვ.).

4. წინადადება მიეცეს ყველა კომისარიატს—განაგრძოს მუშაობა სამმართველო ხარჯების შემცირებისათვის როგორც საბიუჯეტო დაწესებულებებში, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებში და არავითარ შემთხვევაში არ დაარღვიონ ამ დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის კანონით დაწესებული მტკიცე შტატები და ხარჯთაღრიცხვები.

5. დაევალოს საბჭოთა კონტროლის კომისიის ორგანოებს — სისტემატიური კონტროლი გაუწიონ იმას, თუ რამდენად მტკიცედ ასრულებენ სახელმწიფო დაწესებულებები და სამეურნეო ორგანიზაციები სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას სამუშაო ხელფასის ფონდის ხარჯვის შესახებ და შრომის სასყიდლისა და სამუშაო ხელფასის ფონდის თვითნებურად გადიდებაში, აგრეთვე სამუშაო ხელფასის გაცემის დაყოვნებაში ყველა კონკრეტულად დამნაშავე პირი მისცენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს,—ფედერატიული ორგანოების მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ბრუნვის გადასახადის პროცენტული ანარიცხების განსაზღვრის შემდეგ—განსაზღვროს ბრუნვის გადასახადის პროცენტი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ ტფილისისათვის.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახ. კომისარიატს—უზრუნველყოს შემდგომი მასიური მუშაობის ფართოდ გაშლა მოსახლეობის სახსართა და განსაზოგადოებული სექტორის შემოსავლის მობილიზაციისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტი.

1934 წ. მარტის 29.
ტფილისი.

აპარატის სტრუქტურა „გარდაიქმნა", მუშაობის შინაარსი ძველი დარჩა

(ყვარელი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

პარტიული მუშაობის ორგანიზაციულად გარდაქმნამდე ყვარელის რაიონში პარტგანათლების საქმე სუსტად მიმდინარეობდა. ამის მიზეზად რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები თვლიდნენ კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების მოუქნელ მუშაობას.

17 მარტიდან რაიკომის პლენუმმა გააუქმა განყოფილებები, გამოყო პასუხისმგებელი ინსტრუქტორები და მათ, სხვასთან ერთად, მიანდო რაიონში პარტგანათლების ქსელისა და პარტიის წევრთა აღზრდის ხელმძღვანელობა.

ამის შედეგად პარტიული სწავლების მდგომარეობა თითქმის უნდა გაუმჯობესებულიყო, ნამდვილად კი ასე არ მოხდა. მუშაობის მხოლოდ ფორმალურმა გარდაქმნამ გაუმჯობესების ნაცვლად პარტგანათლების საქმე ჩაშლის კარამდე მიიყვანა.

„ავადმყოფი" ინსტრუქტორი, უცოდინარი პროპაგანდისტი და დაკარგული ლიტერატურა

რაიკომის ინსტრუქტორებმა, ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობებში წასულიყვნენ, უფრო მაგრად მოიკალათეს კაბინეტში. ისინი ვრცელი, ინსტრუქციებითა და დირექტივებით „ხელმძღვანელობენ" პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას სოფლად.

— ჩვენი რაიონი ძალზე უმწეო მდგომარეობაშია, უიმედოდ ლაპარაკობს რაიკომის მდივნის მოადგილე ამხ. კ. ჭიჭინაძე. რაიკომს მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი ჰყავს (ნამდვილად კი 2 ინსტრუქტორია), ისიც ავადმყოფი კაცია. არა აქვს ფიზიკური შესაძლებლობა იაროს სოფლებში, კოლმეურნეობებში და შეამოწმოს პოლიტსკოლების მუშაობა. ასევე უიმედო მდგომარეობაში ვართ პროპაგანდისტების მუშაობის მხრივ. რაიკომს განთავისუფლებული პროპაგანდისტები ჰყავს, მაგრამ ისინი გარდა იმისა, რომ სკოლებში მეცადინეობენ, დატვირთული არიან კიდევ სხვა სამუშაოებით და ამიტომ ვერ ასწრებენ პოლიტსკოლების ხელმძღვანელობას. ამას გარდა, ზოგი მათგანი სრულიად უცოდინარი, პოლიტიკურად მოუმზადებელია!

— მაგალითად, რომელი?—შევეკითხე მე.

— პროპაგანდისტი ლოქაფიშვილი.

— მაშ რატომ გყავთ იგი პროპაგანდისტად? ხომ შეიძლება მან, პოლიტსკოლის მსმენელებს არასწორად განუმარტოს ზოგიერთი პოლიტიკური საკითხი და ამით დაამახინჯოს პარტიის ხაზი?!.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?—გაკვირვებული კითხულობს ჭიჭინაძე—სამაგიეროდ პროპაგანდისტი არა გვყავს, მან წერა-კითხვა მაინც იცის, როგორც იქნება გაუძღვება თავის საქმეს.

ამხ. ჭიჭინაძის შეხედულებით პროპაგანდისტად შეიძლება ყველა გამოვიყენოთ, ოღონდ კი წერა-კითხვა იცოდეს. სადაა აქ პროპაგანდისტთა მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა? აქ არავის აინტერესებს გადაცემისა და შეთვისების ხარისხი. უდიდესი პოლიტიკური საქმე მინდობილი აქვს უცოდინარ პროპაგანდისტს, რომელმაც მხოლოდ წერა-კითხვა იცის.

ამის შედეგად ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რანაირია რაიონში არსებული პოლიტსკოლების მუშაობის ხარისხი, განსაკუთრებით იმ სკოლებში, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევს პროპაგანდისტი ლოქაფიშვილი.

რაიონს დღემდე არ მიუღია მე-17 პარტყრილობის ლიტერატურა:

— ტფილისიდან 13 მარტს გამოგვიგზავნეს, მაგრამ, როგორც ჩანს, გზაზე დაკარგულაო. „ჩვენ დროულად მივიღეთ ზომები, აცხადებს ამხ. ჭიჭინაძე. დეპეშა დეპეშაზე გავუგზავნეთ, უკვე თვე სრულდება და ლიტერატურა მაინც არსად ჩანს".

ამ საქმეში რაიკომი გამოსავალს მხოლოდ დეპეშებისა და მიმართვების გაგზავნა-გამოგზავნაში პოულობს. ნუ თუ რაიკომს არ შეეძლო ერთი თვის განმავლობაში უზრუნველეყო ლიტერატურით რაიონი?

ისევ ცირკულიარებით...

ყვარლის რაიკომს ორი ინსტრუქტორი ჰყავს, ერთი მათგანი ამხ. მ. მაჩიტაძე კულტპროპის ყოფილი გამგეა. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ავადმყოფია" და ამავე დროს შეთავსებით მუშაობს რაიონის რადიო-გადაცემის რედაქტორად. ზედმეტი დატვირთვისა და „ავადმყოფობის" გამო ვერ ასრულებს პასუხისმგებელ ინსტრუქტორის მთავარი მოვალეობის შესრულებას, კოლმეურნეობებში მისვლას, პოლიტსკოლების მუშაობის შემოწმებას, სოფლის პარტორგანიზატორთა, პარტკომიტეტთა მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის დახმარებას და სხვ.

პოლიტსკოლების მუშაობა ზოგან სრულიად შეწყდა. სოფ. გავაზში პროპაგანდისტის (გაბიძაშვილი) მისვლელობის გამო მიმდინარე წელს არც ერთი მეცადინეობა არ ჩატარებულა; სოფ. კუჭატაში პროპაგანდისტ გაფრინდაშვილის მიზეზით ორი თვეა მეცადინეობა არ ყოფილა. კოოპერატიულ საზოგადოებათა რაიონული ამხანაგობის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში პოლიტსკოლის პროპაგანდისტად გამოყოფილი იყო ამავე მეურნეობის პარტუჯრედის მდივანი, რომელსაც დღემდე არაფერი არ გაუკეთებია, ფატმასურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარე წელს მხოლოდ 3 მეცადინეობა ჩატარდა. საჭიკაანის კოლმეურნეობაში პოლიტსკოლა სრულებით არ არსებობს და ა. შ.

პოლიტსკოლების უხეირო მუშაობის შესახებ შეგვეძლო მრავალი ფაქტი მოგვეყვანა. მაგრამ ესეც საკმარისია.

აღმაშფოთებელი ის არის, რომ იმ დროს, როდესაც რაიონში პოლიტგანათლების საქმე თითქმის ჩაშლის კარამდე არის მიყვანილი, რაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი ამხ. მაჩიტაძე ფეხს არ იცვლის რაიონის ცენტრიდან, ზის თავის ყოფილ კაბინეტში (კულტპროპგანყოფილება) და იქიდან უგზავნის სოფლის პარტიულ კომიტეტებს და პარტორგანიზატორებს მრავალგვერდიან ინსტრუქციებს, „მუშაობის გარდაქმნის შესახებ". იწერს თავის „ბლოკნოტში" იმ პროპაგანდისტთა და პოლიტსკოლებზე მიმაგრებულ მუშაკთა გვარს და სახელს, რომლებიც აცდენენ პოლიტწრის მეცადინეობას, ონებებს პარტკომიტეტების მდივნებს და პარტორგანიზატორებს თათბირის მოწვევის შესახებ, მოუთმენლად მოელის რაიკომის ბიუროს სხდომას, რომ მიეცეს საშუალება „თაღლითი" პროპაგანდისტები „დაანიაოს" და ყველას საყვედური გამოუცხადოს. „საყვედურები" აქ მოდაშია შემოღებული. „გაბიძაშვილს და გაფრინდაშვილს პოლიტსკოლების ჩაშლისათვის ორი საყვედური აქვთ გამოცხადებული, ახლა მესამე საყვედურს გამოუცხადებენ და ვნახოთ როგორ იმუშავებენ შემდეგ"-ო, აცხადებს ამხ. მაჩიტაძე და ამით იმშვიდებს თავს.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ყვარლის რაიკომმა ფორმალურად მოკიდა ხელი მუშაობის გარდაქმნის საქმეს. ორგანიზაციული გარდაქმნა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ რაიკომის ძველი ბიურო დაიშალა, ახალი აირჩიეს, გაუქმდა განყოფილებები და გამოიყო პასუხისმგებელი ინსტრუქტორები. მუშაობის შინაარსი კი ისევ ძველი დარჩა.

რაიკომს არც ერთ სხდომაზე არ მოუსმენია ინსტრუქტორების მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნეს მათ მუშაობა ადგილზე, როგორ მიმდინარეობს მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, რა უშლის ხელს პარტიული მუშაობის ახლებურად გარდაქმნას და სხვ.

ყვარლის რაიონში არ სრულდება საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კატეგორიული მითითება იმის შესახებ, რომ რაიკომებმა ხელი მოკიდონ ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა დეტალურად დამუშავებას, რათა არ დარჩეს არც ერთი მუშა, კოლმეურნე და ერთპიროვნული მშრომელი ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძვლიანად შესწავლის გარეშე. როგორც ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა, ისე ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნა მხოლოდ ფორმალურად მიმდინარეობს.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომმა დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდოს ხელი მუშაობის შინაარსის ნამდვილ გარდაქმნას და პარტგანათლების საქმის სერიოზულად წარმართვას.

ალ. გვინჩიძე.

რიონჰესის მე-4 აგრეგატის მონტაჟი დამთავრდა

ქუთაისი, 10 აპრილი. სტალინის სახელობის ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხნის დამკვრელმა ბრიგადამ ინჟინერ ამხ. ბარკოვსკისა და შეფმონტიორის ამხ. ვოსცინის მეთაურობით მოიპოვა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება — ვადაზე დაამთავრა მონტაჟი რიონჰესის მეოთხე და უკანასკნელი აგრეგატისა, რომლის სიმძლავრე უდრის 12.500 კილოვატს. აგრეგატი მთლიანად აწყობილია და მზად არის ასამუშავებლად. მაგრამ ამუშავება ფერხდება, რადგანაც მზად არ არის გენერატორის გარსაცმი, რომელიც რიონჰესის სამონტაჟო განყოფილებამ უნდა დაამთავროს, გარსაცმის დამზადების დაგვიანება გამოწვეულია რკინის მასალის შეფერხებით გზაში. ახლა მასალა მიღებულია და გარსაცმის დამზადება აჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს. რიონჰესის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ხილტოვი აცხადებს, რომ გენერატორის გარსაცმის დამზადება უზრუნველყოფილია 18 აპრილისათვის, ხოლო გენერატორის ამუშავება—არა უგვიანეს 20 აპრილისა.

რიონჰესის მიღება დამთავრდა

ქუთაისი, 10 აპრილი. რიონჰესის მიმღებმა მთავრობის კომისიამ დაამთავრა მიღების მთელი მუშაობა, აგრეთვე ცალკეულ დანადგარის მიღების აქტებისა და მთელი მშენებლობის მიღების გენერალური აქტის შედგენა.

11 აპრილს კომისია მოსკოვს გაემგზავრება მთავრობისათვის მოხსენების გასაკეთებლად (ადს).

ბზიბის ქაღალდის კომბინატი ამუშავდება 1935 წელს

(სოხუმი, საკუთარ კორესპონდენტისაგან)

გაგრის რაიონის სანაპიროები ღრმად შეჭრილია ზღვაში და წარმოადგენს კონცხს, რომელსაც ჯერ კიდევ 1234 წლიდან — აფხაზეთში გენუის სავაჭრო კაპიტალის შეჭრის დროიდან პეცონდა ეწოდა.

პეცონდის კონცხზე ყოველთვის მრავლად იყრიდენ თავს სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები, რომლებიც შორეული კუთხეებიდან მოდიოდენ აფხაზეთის ძვირფასი ჯიშის ტყეების ხელში ჩასაგდებად.

— მდიდარი ტყეები — აი რა იზიდავდა გენუის სავაჭრო კაპიტალს აფხაზეთის სანაპიროებზე.

მაგრამ გენუელები წავიდნენ. მათი ეპოქიდან დარჩა ისტორიის გაყვითლებული ფურცლები. საუკუნე საუკუნეს სცვლიდა, პეცონდის კონცხის მდიდარი ტყეები კი განუწყვეტლივ იზიდავდენ დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველებს.

შედარებით ახლო წარსულში, 1905 წელს გერმანიის და იტალიის ხე-ტყის მრეწველებმა სცადეს ამ ტყეების ხელში ჩაგდება და შუამდგომლობა აღძრეს მეფის რუსეთის სამინისტროს წინაშე პეცონდის კონცხის მათთვის კონცესიად გადაცემის შესახებ.

მაგრამ კონცესია მათ ვერ მიიღეს. პეცონდის კონცხი საბოლოოდ გადაეცა სამღვდელოებს, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს რა იქ, შეუდგენ ტყეების ბარბაროსულად განადგურებას. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ხელფეხი გაუხსნა პეცონდის სიმდიდრეს და სახალხო კუთვნილებად გადააქცია იგი.

*

1927 წელს აფხაზეთის პარტორგანიზაციამ ცაკის თავმჯდომარის ამხ. ნესტორ ლაკობას ინიციატივით ცენტრში დასვა საკითხი პეცონდის ხე-ტყის მასივების სამეურნეო წესით დამუშავების შესახებ. აქ, მთის მდინარის ბზიბის ორივე ნაპირზე უნდა გაშლილიყო კომბინირებული წარმოება, რომელიც უზრუნველყოფდა ნედლეულის მაქსიმალურად გამოყენებას. აფხაზეთის პარტორგანიზაციის ეს წინადადება საფუძვლად დაედო პეცონდის კონცხზე ბზიბის ქაღალდის კომბინატის მშენებლობას.

ბზიბის კომბინატისათვის ნედლეულის ბაზად გამოყენებული იქნება ბზიბის და ფსიშის სატყეო აგარაკები, რომლებიც გადაჭიმულია 18 ათას ჰექტარზე და თავისი ჯიშებით და ხარისხით კავკასიის ხე-ტყის მასივების ერთ-ერთ უმდიდრეს აგარაკს წარმოადგენს.

ამ აგარაკების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებების შემოწმებამ ცხადყო სოჭის, წიფელის და სხვ. ჯიშების მაღალი ხარისხი.

სამწუხაროდ, ბზიბის მასივის საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყების პირველ ხანებში მშენებლობა არ იყო უზრუნველყოფილი მტკიცე ხელმძღვანელობით.

— 1928 წლიდან ვინ არ იყო ბზიბმშენის ხელმძღვანელი: ახალშენებათა კომიტეტი, „ხემშენი", ამიერ-კავკასიის „ტყექაღალდტრესტი", „სოიუზლესტრესტი" და სხვ.. ყველა ამ ორგანიზაციებს კონკრეტული ხელმძღვანელობის ნაცვლად მხოლოდ დეზორგანიზაცია შექონდათ მშენებლობაში, რისი შედეგიც იყო ის, რომ კომბინატი შენდებოდა, — ტყე-კი იჩეხებოდა თუ არა, ამაზე არავინ ფიქრობდა. სამაგიეროდ ეწყობოდა ურიცხვი კომისიები და ქვეკომისიები, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე კონკრეტულად არაფერს აკეთებდნენ. დამახასიათებელია ერთერთი კომისიის წინადადება: რომ გამოეყოთ ხეობაში საამშენებლო მოედანი, კომისიამ გამოთქვა აზრი, რომ აღებული ყოფილიყო მთელი მთა (?), რომელიც ერთმანეთისაგან აშორებდა ორ მოედანს ამისათვის საჭირო იყო მილიონი კუბომეტრი მიწის სამუშაოების შესრულება.

რომ არაფერი ვთქვათ ამ პროექტის ეკონომიურ მიუღებლობაზე, რომლის განხორციელებასაც მილიონი მანეთები დასჭირდებოდა თვით მუშაობა, რთული და მძიმე პირობების გამო, გაგრძელდებოდა რამდენიმე წელი.

ყველა ამ არანორმალურმა მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ ბზიბის კომბინატის მშენებლობა, რომელსაც უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვსა მიერ-კავკასიისათვის, სისტემატიურ ჩამორჩენას განიცდიდა: 1933 წელს საამშენებლო გეგმა მხოლოდ 30 პროცენტით შესრულდა.

1933 წლის 6 აგვისტოს ბზიბმშენის მშენებლობაში იწყება გარდატეხა. „ბზიბმშენი", როგორც დამოუკიდებელი საამშენებლო ერთეული შევიდა ქაღალდის მრეწველობის მთავარ სამმართველოს სისტემაში.

ეს გარდატეხა მოახდინა ამხ. ლაკობამ, რომელმაც დაათვალიერა მშენებლობა და საქ. კ.პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან ერთად დასახა კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის დასაჩქარებლად.

საბოლოოდ გამორკვეულია კომბინატის სახე. კომბინატი წლიურად გადაამუშავებს 300 ათას კუბ. მეტრ მერქანს. კომბინატის შემადგენლობაში შევა: 1) ქაღალდის ფაბრიკა წლიურად 7.280 ტონა უმაღლესი ხარისხის ქაღალდის გამომუშავებით, 2) ცელულოზის ქარხანა, 3) ოთხ ჩარჩოიანი ხე-ტყის სახერხი მანქანა 150 ათასი კბ. მეტრის ნაყოფიერებით, 4) თბოსადგური 3 ათასი კილოვატის სიმძლავრით და 5) მუშათა ქალაქი ყველა საჭირო კომუნალური ნაგებობებით.

მზა პროდუქციის გამოსაზიდად პიცონდის კონცხზე გაშენდება ნავსადგური.

ბზიბის ქაღალდის კომბინატის ამუშავების ვადათ დანიშნულია 1935 წლის ბოლო. საამშენებლო სამუშაოების დაჩქარების მიზნით ამხ. ლობოვის ბრძანებით „ბზიბმშენს" გადაეცა ქაღალდის დამამზადებელი ორი მანქანა და თბოსადგურის მოწყობილობა. უკვე დადებულია ხელშეკრულება ამ მანქანების რეკონსტრუქციის შესახებ.

„ბზიბმშენს" 1934 წელს საამშენებლო სამუშაოებისათვის ეძლევა 9 მილიონი მანეთი. პირველ რიგში გაყვანილ უნდა იქნას გზა, ჩატარდეს მდინარე ბზიბის კალაპოტის გაწმენდა, ჭაობების ამოშრობა, გაიშალოს საბინაო მშენებლობა და სხვ.

მიმდინარე წლის საამშენებლო პროგრამის შესრულებისათვის ყველა რეალური შესაძლებლობა არსებობს, საჭიროა მხოლოდ აფხაზეთის ბოლშევიკებმა გამოიჩინონ სტალინური სიმტკიცე და უნარი იმ სიძნელეებთან რომლებიც მათ გზაზე ხვდებათ.

გ. მაჭავარიანი

ფეხსაცმელის მრეწველობის ახალი გიგანტი ტფილისში

მოსკოვი, 10 აპრილი. 1934 წლის მეოთხე კვარტალში უნდა ამუშავდეს ფეხსაცმელის ახალი ფაბრიკა ტფილისში.

ტფილისის ფეხსაცმელის ფაბრიკის მშენებლობაში ბანდდება 15 მილიონ მანეთამდე. ამ თანხიდან 1934 წელს დაიხარჯება 9 მილიონი მანეთი. სრული სიმძლავრით ფაბრიკა ამუშავდება 1935 წელს.

დეპეშათა საკავშირო სააგენტოს თანამშრომელს საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტყავ-ფეხსაცმელის მრეწველობის მთავარ სამმართველოში აცნობეს, რომ ტფილისის ფეხსაცმელის ფაბრიკა მოქცეულია ფეხსაცმელის მრეწველობის უმსხვილეს ახალშენებათა გვერდით. ტრესტ „ორგკოჟის" მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით, ტფილისის ფაბრიკამ უნდა გამოუშვას 6.270 ათასი წყვილი ფეხსაცმელი წელიწადში. ყოველდღე ფაბრიკის კონვეიერებიდან გადმოღებული იქნება 19.000 წყვილი ფეხსაცმელი. ფაბრიკამ უნდა დაამზადოს მამაკაცის დაბალყელა ფეხსაცმელი, მამაკაცის ნაბდის ჩექმები, ქალის და ბავშვის წუღები, ქალის ტუფლები და სხვ.

გარდა ძირითადი საამქროებისა—საგამომჭრელო - დამამზადებელი, სამკერვალო და საშტამპო საამქროებისა, რომლებიც სპეციალურ კორპუსებში მოთავსდება, ფაბრიკასთან შენდება მთელი რიგი დამხმარე სახელოსნოები: სამონტაჟო, საზეინკლო, ელექტრო-სამონტაჟო, სადურგლო და სხ.

ფაბრიკის პროექტი ითვალისწინებს აგებულ იქნას უტილ-საამქრო, რომელიც გადაამუშავებს საშტამპო, საგამომჭრელო და სამკერვალო საამქროთა ყველა ნარჩენს.

ფაბრიკაში დაბანდებული იქნება დაახლოვებით სამნახევარი ათასი მუშა. მშენებლობისათვის გადადებულ სახსართა საგრძნობი ნაწილი მოხმარდება საბინაო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობას. 1934 წელს ამ მიზნისათვის უნდა დაიხარჯოს 2 მილიონი მანეთი.

ფაბრიკასთან ეწყობა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ათასი მოსწავლისათვის.

ფაბრიკის მუშებისათვის აიგება სასადილო, რომელიც დღეში გაუშვებს 4.000 სადილს.

პარტიის მე-17 ყრილობამ თავის რეზოლუციაში აღნიშნა იმის აუცილებლობა, რომ მთელი ყურადღება მიექცეს ფეხსაცმელის 21 მსხვილ საწარმოს მშენებლობას, რომლებიც უნდა ამზადებდნენ 100 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს. ტფილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მშენებლობა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება ყრილობის გადაწყვეტილება. (ადს).

ა.-კ. რკინისგზის მუშაობა 9 აპრილს

ნავთის ჩასხმა (ცისტერნები)		დატვირთვა (ვაგონები)	
დავალება	შესრულება	დავალება	შესრულება
885	1084	889	808

აქედან დატვირთვა საექსპლოატაციო განყოფილებებში

განყოფილებები	დავალება	შესრულება	ვაგონების პარკის პროც. ნორმასთან შეფარდებით
სამტრედიის	339	336	127
ტფილისის	188	157	117
ბაქოს	277	196	108
ლენინაკანის	93	119	100

მარგანეცი

7 აპრილს

	გეგმა	ფაქტიური	%-ობით
სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)	3.026	2.984	98,6
	მოთხოვნის	მიწოდება	დატვირთვა
ვაგონების მიწოდება	189	189	189

როგორ არ უნდა მუშაობდეს კომუნისტი ტრანსპორტზე

„დისციპლინის აღდგენა და განმტკიცება ტრანსპორტზე, როგორც „დაბლა", ისე „მაღლა", წარმოადგენს იმ ძირითად რგოლს, რომლის საშუალებითაც მხოლოდ შეიძლება ფეხზე დავაყენოთ ჩვენი რკინისგზის ტრანსპორტი. მთავარი დანაშაული დაუდევრობისა, ჯეროვან დისციპლინის უქონლობისათვის ტრანსპორტზე აწევბა კომუნისტებს. კომუნისტი - რკინისგზელები უნდა იყვნენ რკინისებური, ბოლშევიკური დისციპლინის ნიმუში ტრანსპორტზე. ნამდვილად კი მრავალი კომუნისტი ნაკლებად დისციპლინირებულია, ვიდრე რკინისგზის ტრანსპორტის უპარტიო მუშაკები, ხოლო ზოგიერთი მათგანი თავის უდისციპლინობაში იქამდეც კი მიდის, რომ ძნელია მათი გარჩევა თვალისამხვევლებისა, დეზორგანიზატორებისა და მავნებლებისაგან".

(საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქ. სახკომსაბჭოს 28 მარტის დადგენილებიდან).

ისეთი კომუნისტები, რომლებიც „თავის უდისციპლინობაში იქამდეც კი მიდიან, რომ ძნელია მათი გარჩევა თვალის ამხვევლებისა, დეზორგანიზატორებისა, და მავნებლებისაგან", არიან ამიერ-კავკასიის რკინისგზაზედაც. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ტფილისის საორთქლმავლო დეპოს მუშა, კომუნისტი, მემანქანე ვასილ მიხეილისძე პროხოროვი.

იგი ძველი მუშა-ზეინკალია, ტფილისის საორთქლმავლო დეპოში მიუღია მემანქანის ხარისხი და 1925 წელს შესულა პარტიაში. მაგრამ პროხოროვმა ვერ გაამართლა კომუნისტის დიდი სახელი, ვერ შეასრულა ავანგარდული როლი, ვერ დაიკავა მოწინავე პოზიცია საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მისი მუშაობის უკანასკნელი წლების ისტორია სავსეა უდისციპლინობის, დაუდევრობის და ხშირი ავარიების შემთხვევებით.

1928 წლის მაისში გაცდენისათვის და ივლისში ორთქლმავლის რემონტის ჩაუწერლობისათვის ადგილობრივმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა პროხოროვს საყვედური გამოუცხადეს, ამავე მიზეზით გამოეცხადა მას საყვედური 1930 წლის იანვარშიაც. ამის შემდეგ დეპოს პარტკომის დადგენილებით ის გაგზავნეს მანგლისში კოლმეურნეობის თავმჯდომარეთ. მას იქაც სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, არ აქცევდა ყურადღებას კოლმეურნეობას, არ უწევდა მას სათანადო ხელმძღვანელობას; სამაგიეროთ მუდამ მთვრალი, იგი აგინებდა და უხეშად ეპყრობოდა კოლმეურნეებს. ამის გამო ის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან მოხსნეს.

დეპოს პარტკომმა, როგორც პარტიულ ეთიკის დამრღვევს და დეზორგანიზატორს, მას გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში ჩაწერით.

1933 წლის 16 იანვარს სახალხო მატარებელი № 61—62-ის მართვის დროს მთვრალმა პროხოროვმა დაარღვია მოძრაობის წესი, ვაზიან-ნავთლუღის გადასარბენზე, სადაც ჩვეულებრივ სვლა ნელია.

1934 წლის 27 მარტს პროხოროვი სადგ. სოღანლუღიდან გავიდა ამკრეფი მატარებლით (№ 973), საგზურ ყუთში მას დაავიწყდა კვერთხის შეცვლა და უნებართვოდ გავიდა სადგ. სანდარისაკენ. შემთხვევით მოხდა, რომ სანდარიდან არ მოდიოდა მატარებელი და მარცხიც არ მომხდარა.

პროხოროვის გამოსწორებას პირი არ უჩანს. იგი ახლაც არ ასრულებს გეგმას.

მაგალითად: იანვარში მისმა ორთქლმავალმა 50.712 კილოგრამი საწვავი მასალის ნაცვლად ფაქტიურად 56.137 კილოგრამი დახარჯა. (გადახარჯვა 5.425 კილოგრამი), თებერვალში ორთქლმავალმა 407 საათში გაირბინა 3.567 კილომეტრი და 48.276 კილოგრამის ნაცვლად დახარჯა 52.018 კილოგრამი საწვავი მასალა (გადახარჯვა უდრის 3.742 კილოგრამს), მარტის პირველ ნახევარში ორთქლმავალმა 219 საათში გაირბინა 2.136 კილომეტრი და გადახარჯა 179 კილოგრამი საწვავი მასალა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები მკაფიოდ ლაპარაკობენ პროხოროვის უდისციპლინობაზე, უპასუხისმგებლობაზე და დეზორგანიზატორულ-მავნებლურ მუშაობაზე. მან სახელმწიფოს მისცა რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ზარალი, იგი მიზეზია მატარებელთა გრაფიკულად მოძრაობის მრავალჯერ დარღვევისა, ლიანდაგების და ვაგონების დაზიანების. პროხოროვს ალბათ არასოდეს არ უფიქრია, რომ ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედება გარდა იმისა, რომ მოძრავ შემადგენლობის განადგურებას და სახელმწიფო დოვლათის განიავებას იწვევს, ამასთან საფრთხეში აყენებს ადამიანთა სიცოცხლეს და დიდათ აფერხებს მოძრაობას.

საკითხავია: ყველაფერი ამის შემდეგ მოსათმენია თუ არა მემანქანე პროხოროვის, როგორც პარტიის რიგებში, ისე ამ პასუხსაგებ სამუშაოზე (მემანქანეთ) გაჩერება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. კაცი, რომელიც მიუხედავათ მრავალი სასჯელისა მაინც განაგრძობს უდისციპლინო და დეზორგანიზაციულ მუშაობას, რომელზედაც არ იმოქმედა პარტიული ორგანიზაციის მრავალმა ზომამ, უნდა მოშორდეს კომუნისტთა რიგებს, ასეთი „კომუნისტები" ვერ შესძლებენ ტრანსპორტზე რკინისებური დისციპლინის აღდგენას და განმტკიცებას, ვერ შეასრულებენ ავანგარდულ როლს, ისინი არ არიან ღირსნი ატარონ ლენინ-სტალინის დიდი პარტიის წევრის საპატიო სახელი.

და მართლაც, 3 აპრილს დეპოელ კომუნისტთა გაერთიანებულ კრებამ დაადგინა: „პროხოროვი, როგორც რეციდივისტი დეზორგანიზატორი, ლოთი, უპასუხისმგებლო მუშაკი, რომლის მემანქანეობის პერიოდი სავსეა ავარიებით, გაირიცხოს პარტიიდან".

შ. აროშიძე.

უვარგისი ტრიკოტაჟის გამომშვებნი მკაცრად დაისაჯონ

ტფილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა მოწოდებულია გამოუშვას ბაზარზე ფართო მოხმარების საგნები (ჩულქები, ჟაკეტები, ჯემპრები, ტრიკოები და სხვ.), უშვებს კიდეც, მაგრამ მეტად მდარე ხარისხისას. მან გასული წლის დეკემბერში გამოუშვა 64.704 მან. წუნდებული პროდუქცია, იანვარში — [illegible] 253 მანეთის და თებერვალში — 19.260 მანეთის; ამგვარად სამი თვის განმავლობაში ფაბრიკამ სულ 183.645 მანეთის წუნდებული პროდუქცია გაგზავნა ბაზარზე.

აი, ასეთი „ნაყოფიერი მუშაობისათვის" ეს საწარმო პროლეტარული სამსჯავროს წინაშე წარსდგა. ტფილისის სახალხო სასამართლომ ამხ. ვ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა ფაბრიკის ხელმძღვანელობა 1933 წლის 8 დეკემბრის კანონის მიხედვით. გასამართლება მოხდა თვით ფაბრიკაში. ბრალდებულთა სკამზე ისხდნენ ფაბრიკის დირექტორის მოადგილე ანდრია სოლომიშვილი, ტექნიკური ხელმძღვანელი ბენიამინ ლისიცა და ტექნიკური კონტროლიორი ვლადიმერ ქურავლიოვი.

უპაირათობის და უთავბოლობის იშვიათი ნიმუში

ამხ. კაკაბაძე საბრალმდებლო დასკვნას კითხულობს. იგი უპაირათო და უთავბოლო მუშაობის იშვიათი ილუსტრაციას წარმოადგენს. ეს ფაბრიკა წუნს სისტემატიურად უშვებს. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა რომ ვერაფერი გააწყო. დათმობაზე წავიდა. ასე, მაგალითად, დეკემბერში ფაბრიკას გეგმით შეეძლო გამოეშვა 16.783 მანეთის წუნდებული პროდუქცია, იანვარში — 17.015 მანეთის და თებერვალში — 10.724 მანეთის. ფაბრიკა ამ ნორმებს გულმოდგინედ აჭარბებს.

ამხ. კაკაბაძის შეკითხვაზე — ცნობენ თუ არა თავს დამნაშავეთ წაყენებულ ბრალდებაში, ბრალდებულები ერთხმად უპასუხებენ:

— ჩვენ არაფერ შუაში ვართ, წუნის მთავარი მიზეზი ცუდი ხარისხის ნედლი მასალაა.

— მერე თქვენ ასეთ მასალაზე მუშაობთ? — ეკითხება მოსამართლე.

— ვმუშაობთ, რადგან ფაბრიკის გაჩერების უფლება არ გვაქვს — უპასუხებს სოლომიშვილი.

— თქვენ დასვით ამის შესახებ სადმე საკითხი? — არის მოსამართლის შემდეგი შეკითხვა.

— როგორ არა, ძალიან ხშირად იყო დასმული საკითხი საქ. მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის წინაშე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ამგვარად, მათ საკითხი დასვეს კომისარიატის წინაშე, მოხელეებმა ვალი მოიხადეს და მშვიდად განაგრძეს წუნის გამოშვება.

ზემდეგ ბრალდებულები იშველიებენ სხვა „ობიექტიურ მიზეზებს". კერძოდ, ფაბრიკის ცუდ ტექნიკურ შეიარაღებას.

მაგრამ ეს „მოტივიც" უსაფუძვლოა. პროცესზე ირკვევა, რომ ფაბრიკას მოეპოვება აბრეშუმის საქსოვი საუკეთესო დაზგები, რომლებიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არიან მოწყობილნი. ბოლოს და ბოლოს, თვით ბრალდებულებიც აღიარებენ ამას.

1.400 კილოგრამ ჟერსეს გაფუჭების ისტორია

თებერვალში გაჩერდა ფაბრიკის სამღებრო საამქრო. შესაღები იყო 1.400 კილოგრამი ჟერსე, რომელიც წაიღეს აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში; ის იქ შეღებეს ძალიან ცუდათ. მაგრამ „ხომ არ გადაყრიდენ" და შეკერეს „ტრიკოები, რომლებიც შემდეგ კვლავ შეღებეს, ვითომ ნაკლის გამოსწორების მიზნით. შეღებვისას ტრიკოები ისე დავიწროვდა, რომ მათი გამოყენება ყოვლად შეუძლებელი იყო. ასე გადაიყარა წყალში 1.400 კილოგრამი ჟერსე.

საინტერესოა ამ ოპერაციის მექანიკა. ტრიკოტაჟელებმა მიიტანეს შესაღები მასალა აბრეშუმის ფაბრიკაში და თვალყური არ ადევნებდნენ შეღებვის პროცესისათვის. ფაბრიკის წარმომადგენელი შეღებვას არ დასწრებია. განკარგულება ჟერსეს აბრეშუმის ფაბრიკაში გაგზავნის შესახებ ლისიცისგან გამოდიოდა, მაგრამ ამ კაცს „დაავიწყდა" უზრუნველეყო შეღებვის ხარისხი.

ძმა კონტროლს უწევს ძმას

საინტერესოა თვით ფაბრიკის მართვა-გამგეობის სისტემა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ წარმოებას არ ყავს კვალიფიციური ტექნიკური ხელმძღვანელი. ლისიცა ძველი მეწარმეა და სატრიკოტაჟო წარმოების პროცესებს არ იცნობს. ის თვითონაც არ უარყოფს, რომ ტექნიკურად უვიცია. ვერც ტექკონტროლიორი ქურავლიოვი ერკვევა ამ საქმეში. დირექტორი ამხ. კაიტაჯიანი სტამბის ძველი მუშაა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ფაბრიკაში დანიშნეს დირექტორად და არ იცნობს წარმოებას; მისი მოადგილე დაწინაურებული მონტიორია და ვერც ის დაუფლებია სატრიკოტაჟო წარმოებას. ასე რომ წარმოება სრულიად უცოდინარ პირთა ხელშია. ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ისიც კი არ იციან, თუ რამდენი მუშა ირიცხება მათთან. მოსამართლის შეკითხვაზე სოლომიშვილი ასახელებს 400-ს, ლისიცა — 300-ს, ქურავლიოვი ცოტას უმატებს ხოლო კაიტაჯიანი, რომელიც მოწმეთ არის გამოწვეული, ასახელებს 360-370-ს.

ამასთან ირკვევა რომ ქურავლიოვი ლისიცას ძმა ყოფილა, 1928 წელს გამოუცვლია გვარი. უმცროსი ძმა (ქურავლიოვი) უფროსს ამ ექვსი თვის წინ ტექნიკურ კონტროლიორად დაუნიშნეს (?!).

ეს დეტალიც მჭერმეტყველურად ლაპარაკობს ფაბრიკის ხელმძღვანელობის ხარისხზე.

პროცესი ორ დღეს გაგრძელდა. საკავშირო ცაკი და სახკომსაბჭო თავის 8 დეკემბრის დადგენილებაში მდარე ხარისხის და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებას მძიმე, ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულად სთვლიან და ასეთი პროდუქციის გამოშვებისათვის ითვალისწინებენ მკაცრ ზომებს ყველა იმათ მიმართ, ვინც ასეთ დანაშაულს სჩადის.

და სწორედ ამ მოსაზრებით სასამართლომ ხამივე ბრალდებულს მიუსაჯა ხუთ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი მკაცრი გაფრთხილება უნდა იყოს ყველა საწარმოს ხელმძღვანელებისათვის.

ა. კილინჯარიძე

ნაციონალ-სოციალისტების მახინაციები ბალტიის სახელმწიფოებში

„ერ ნუველი" ამხელს ფაშისტების მახინაციებს

პარიზი, 8 აპრილი. „ერ ნუველი" სტატიაში სათაურით „თავდაუსხმელობის პაქტების განგრძობა ესტონეთისა, ლატვიისა, ლიტვასა და საბჭოთა კავშირს შორის ლახვარს სცემს ბალტიის მხარის ბარონებს". ხაზს უსვამს აქტიურ ნაციონალ - სოციალისტურ პროპაგანდას ბალტიის მხარის ქვეყნებში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნების ნაციონალ - სოციალისტურ ორგანიზაციებს მატერიალურად და მორალურად მხარს უჭერენ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტები. „ნაციონალ - სოციალისტური ორგანიზაციები ბალტიის მხარის ქვეყნებში,—წერს „ერ ნუველი", — წარმოადგენენ ნაციონალ - სოციალიზმის ავანგარდს და ნიადაგს ქმნიან იმისათვის, რომ ბალტიის მხარის ქვეყნებს შეუსიონ გერმანიის ჯარები". ამ მოძრაობის სათავეში დგანან —განაგრძობს გაზეთი, — „ცნობილი ავანტიურისტი ბერმონტ-ავალოვი და რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტები — ბერლინის მონარქისტული ორგანიზაციის „რონდის" წევრები. ისინი მოქმედებენ როზენბერგის უშუალო ხელმძღვანელობით და ნაციონალ - სოციალისტური მთავრობის მხარდაჭერით. „ერ ნუველის" სიტყვით, საქმე ეხება იმას, რომ „განაახლონ ბერმონტ-ავალოვის უგუნური განზრახვა, რომელიც მიმართულია ბალტიის მხარის ქვეყნების წინააღმდეგ, და რომელმაც სასტიკი მარცხი განიცადა 1919 წელს. „ამ ფაქტების დროს, —წერს გაზეთი, თავდაუსხმელობის პაქტების განგრძობა საბჭოთა კავშირსა და ბალტიის მხარის ქვეყნებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს". იგი წარმოადგენს, — დასძენს „ერ ნუველი", — „მსოფლიოს ერთერთ უდიდეს სახელმწიფოს საქვეყნო გაფრთხილებას ნაციონალ - სოციალისტური რაზმების მიმართ, რომელნიც გზას უკაფავენ გერმანიის ლაშქრობის განხორციელებას აღმოსავლეთში" (ადს).

ჩეხია - სლოვაკიის პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

პრაღა, 8 აპრილი. ჩეხია-სლოვაკიის მთელი პრესა თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ამონაწერებს ამხ. ლიტვინოვის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა საბჭოთა კავშირსა და ბალტიის მხარის სახელმწიფოებს შორის თავდაუსხმელობის პაქტთა განგრძობის აქტზე ხელმოწერის დროს. პრესა ხაზს უსვამს სიტყვის ანტირევიზიონისტულ მომენტებს. ამასთან გაზეთები დიდ იმედებს ამყარებენ ბენეშის მომავალ გამგზავრებაზე ჟენევაში, პირველ რიგში აყენებენ რა მის ამოცანებს შორის ლიტვინოვთან საუბარს საბჭოთა კავშირის და ჩეხია-სლოვაკიის ურთიერთობის საკითხზე (ადს).

ბრძოლა მუშებსა და პოლიციას შორის

პარიზი, 9 აპრილი. გუშინ ტონევილში კომუნისტურმა ორგანიზაციამ მოუწოდა მუშებს კონტრ - დემონსტრაციით უპასუხონ ფაშისტების მიერ გამოცხადებულ დემონსტრაციაზე. პოლიციამ დაპატიმრა დემონსტრანტების პირველი ჯგუფი — 150 კაცი კომუნისტ ფრიდრიკის მეთაურობით. როგორც კი გაიგეს დაპატიმრების ამბავი, 4.000 მუშა გარშემოერტყა პოლიციის შენობას. მუშები გაიძახოდენ „გაუმარჯოს საბჭოებს" და მოითხოვდენ დემონსტრანტების დაუყონებლივ განთავისუფლებას. პოლიცია შეეცადა ჯოხებით გაერეკა მუშები, მაგრამ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ პოლიციამ ასტეხა სროლა. დაიწყო ნამდვილი ბრძოლა. მუშებმა ალყა შემოარტყეს პოლიციის შენობას. შეტაკების შედეგად მუშების და პოლიციის მხრით არიან დაჭრილები. პარიზში მოხდა შეტაკება ფაშისტებსა და მუშებს შორის-დაჭრილია რამდენიმე კაცი. 11-მა ადგილობრივმა სოციალისტურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა შეუერთდეს ომის საწინააღმდეგო და ანტიფაშისტურ მოძრაობას. გარდა ამისა, ამ მოძრაობის მომხრედ გამოაცხადა თავი აგრეთვე რეფორმისტულ პროფკავშირების 1.200 წევრმა (ადს).

საბჭოთა კავშირი და უნგრეთი

ამხ. პეტროვსკიმ გადასცა თავის რწმუნებათა სიგელები

ბუდაპეშტი, 9 აპრილი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა უნგრეთში ამხ. პეტროვსკიმ უნგრეთის რეგენტს ხორტის გადასცა რწმუნებათა სიგელები. დღესვე ამხ. პეტროვსკიმ ინახულა პრემიერი გემბეში (ადს).

გერმანიაში აკრძალეს „პრავდა"

ბერლინი 9 აპრილი. ხელისუფალთა დადგენილებით გერმანიაში განუსაზღვრელი დროით აკრძალულ იქნა „პრავდა". აკრძალვის მოტივები არ გამოუქვეყნებიათ.

აკრძალვის მოტივების შესახებ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წარმომადგენელს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, რომ „პრავდა" ტენდენციურად მიმართულია ნაციონალ - სოციალისტური გერმანიის წინააღმდეგ. ამასთან სამინისტროში მიუთითეს 4 მარტის „პრავდაზე", სადაც დაბეჭდილი იყო ამხ. დიმიტროვის სტატია.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა „პრავდას" აკრძალვის წინააღმდეგ (ადს).

შეერთებული შტატების პასუხი ხიროტას წინადადებაზე

ტოკიო, 9 აპრილი. ხიროტას იმ წინადადების საპასუხოდ, რომელიც მან მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ ათი წლით, ოფიციალურმა წრეებმა „ნიცი ნიცის" სიტყვით, მიუთითეს ხიროტას, რომ იაპონიამ უნდა დასდოს თავდაუსხმელობის მრავალმხრივი პაქტი ამერიკის შეერთებულ შტატების, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მონაწილეობით, ნაცვლად იაპონიის მიერ წარმოდგენილი ორმხრივი პაქტისა მხოლოდ იაპონიის და შეერთებული შტატების მონაწილეობით: შეერთებული შტატების წინადადება, აღნიშნავს გაზეთი, აიხსნება შიშით, რომ იაპონია მოაგვარებს რა მდგომარეობას წყნარ ოკეანეში. გააძლიერებს აგრესიულ მოქმედებას შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წინააღმდეგ. თეორიულად იაპონიას არა აქვს საბაბი არ დაეთანხმოს შეერთებული შტატების წინადადებას. შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის,— წერს გაზეთი, — არ არსებობს გადაუჭრელი საკითხები, რომლებსაც შეეძლოთ სერიოზული უთანხმოების გამოწვევა, ამიტომ —დასძენს გაზეთი, — სასურველია, რომ შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ დასდონ ერთმანეთთან თავდაუსხმელობის პაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ თანდათანობით გადაიქციონ იგი მრავალმხრივ პაქტად (ადს).

მეგობრობის ნიშანი

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს განზრახული აქვს გაგზავნოს ლენინგრადში სამხედრო გემი მეგობრული დარბაზობისათვის

ვაშინგტონი, 7 აპრილი. გაზეთები იუწყებიან, რომ, ხმების თანახმად, საზღვაო სამინისტროს განზრახული აქვს ამ ზაფხულს ლენინგრადში გაგზავნოს სამხედრო გემი მეგობრული დარბაზობისათვის. პრესის თანამშრომელთა შეკითხვაზე საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ზაფხულში ფლოტის შემადგენლობაში შევა ორი—სამი ახალი კრეისერი, რომელთაგან ერთი, შეიძლება, ეწვიოს ლენინგრადს. მაგრამ გამგზავრების გეგმა არ არის გამომუშავებული. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელმა განაცხადა, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცით (ადს).

საზღვარ-გარეთი

პოლონეთი და მცირე ანტანტა მოითხოვენ განიარაღების კონფერენციის გენერალური კომისიის მოწვევას

ლონდონი, 9 აპრილი. „დეილი ტელეგრაფის" ჟენევაელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პოლონეთი და მცირე ანტანტა მოითხოვენ განიარაღების კონფერენციის გენერალური კომისიის შეკრებას და დიპლომატიური მოლაპარაკების შეწყვეტას დიდ სახელმწიფოებს შორის.

ამ მოთხოვნებს, კორესპონდენტის სიტყვით, არაოფიციალურად მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობამ.

კორესპონდენტის სიტყვით, ბარტუმ განიარაღების კონფერენციის თავმჯდომარეს ჰენდერსონს ზუსტად მიუთითა, რომ თუ გადადგმულ იქნა ნაბიჯები გენერალური კომისიის მოსაწვევად, საფრანგეთი მხარს დაუჭერს მათ (ადს).

„ობსერვერი" ბრიტანეთის პოლიტიკაზე განიარაღების დარგში

ლონდონი, 8 აპრილი. ეხება რა ბრიტანეთის პოლიტიკას განიარაღების და საერთო ევროპიული ხელშეკრულების ჩარჩოებში ხელშეკრულებათა სერიის დადების პროექტებს, „ობსერვერი" აცხადებს:

„ევროპიული ხელშეკრულება მოიცავს მთელ ევროპას, საბჭოთა კავშირის ჩათვლით, მაგრამ, შესაძლებელია, საბჭოთა კავშირს დაუტოვოს შეიარაღების თავისუფლება ამ შეიარაღების შორეულ აღმოსავლეთში გამოყენებისათვის, თუ იაპონია უარს იტყვის ხელი მოაწეროს საერთო ხელშეკრულებას.

მეორე ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გაზეთის სიტყვით, უნდა ითვალისწინებდეს შეიარაღებისადმი საერთო კონტროლის და მეთვალყურეობის სისტემას.

„ობსერვერი" ამ გეგმას უწოდებს უდიდესი მნიშვნელობის საქმეს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ამ შემთხვევაში აბსოლუტურად აუცილებელია (ადს).

იაპონიის პოლიტიკის აქტივიზაცია

ხიროტას განზრახული აქვს გაგზავნოს ინგლისის დომინიონებში იაპონიის ელჩები

ტოკიო, 9 აპრილი. ითვალისწინებს რა რომ იაპონიის ურთიერთობა ინგლისის კოლონიებთან და დომინიონებთან ამ ბოლო დროს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ურთიერთობა ინგლისთან, ხიროტას „ასახის" სიტყვით, განზრახული აქვს გაგზავნოს ინგლისის დომინიონებში იაპონიის ელჩები. ხიროტა, აცხადებს გაზეთი, ფიქრობს, რომ ამ ნაბიჯის საპასუხოდ დომინიონები დანიშნავენ დიპლომატიურ წარმომადგენლებს ტოკიოში. ამ დროს, როცა ინგლისის მთავრობა, წერს „ასახი", არ მოიწონებს ასეთ წინადადებას, ცნობილია, რომ დომინიონები სიამოვნებით მიიღებენ ხიროტას წინადადებას ერთიმეორესთან დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ (ადს).

ამერიკის ფლოტის გაყვანა წყნარ ოკეანედან

ტოკიო, 8 აპრილი. პრესის სიტყვით, ამერიკის წყნარ ოკეანის ფლოტი, პანამის არხში გავლის წინ, ჩაატარებს მანევრებს, რომლის დროს მტრად დასახული იქნება იაპონიის ფლოტი.

„ნიცი ნიცის" ნიუ-იორკელი კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის ფლოტის დროებით გამოყვანა წყნარ ოკეანედან ატლანტის ოკეანეში მიზნად ისახავს იმის შესწავლას, თუ რამდენი დრო მოუნდება ამერიკის ატლანტის ფლოტის გადაყვანას წყნარ ოკეანეში, და ამიტომ ფლოტის გამოყვანა არ შეიძლება შეფასებული იქნას როგორც „მეგობრული ნაბიჯი იაპონიის მიმართ". ფლოტი, აღნიშნავს კორესპონდენტი, წყნარ ოკეანეში გაძლიერებული დაბრუნდება. მას თავის შემადგენლობაში ეყოლება 5 ახალი კრეისერი 10 ათასი ტონა წყალწყვით თითოეული, რამდენიმე ახალი ავიანოსი და სხვ. 9 აპრილს, როცა ამერიკის ფლოტი დასტოვებს წყნარ ოკეანეს, წყნარ ოკეანეში, აღნიშნავს შემდეგ კორესპონდენტი, სულ დარჩება სამი გემი: „არიზონი", „ოკლაჰამა" და „ლენტომი" და „წყნარი ოკეანე მართლაც წყნარი გახდება". მაგრამ, როცა ფლოტი დაბრუნდება შემოდგომაზე, „წყნარ ოკეანეს ტალღები შეიძლება ძალიან გაზარდოს და გამოიწვიოს შეშფოთება".

კორესპონდენტი მიუთითებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფალნი, „ბაძავენ რა იაპონიის მაგალითს", აპირებენ 40 სწრაფმავალი ნავთტანკერის აგებას ნავთმზიდების კერძო კომპანიების სუბსიდიით (ადს).

დარბაზობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

ტალინი (რეველი). საბჭოთა გრაფიკის გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ მთავრობა და დიპლომატიური კორპუსი სრული შემადგენლობით, აგრეთვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწენი, მხატვრები და ლიტერატორები, სულ 150 სტუმარი. მხატვარმა კრაინენკომ გააკეთა მოხსენება საბჭოთა ხელოვნების შესახებ. გამოფენისადმი უკიდურეს ინტერესს მოწმობს ის გარემოება, რომ მას დიდძალი ხალხი ესწრება (ადს).

„თურქეთი მომზადებული შეხვდება მოსალოდნელ საფრთხეს"

თევფიკ რუშტი-ბეი მუსოლინის სიტყვის შესახებ

ანკარა, 7 აპრილი. ავსტრიასთან და უნგრეთთან პოლიტიკური და ეკონომიური შეთანხმების დადების შემდეგ, მუსოლინიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც საკმაოდ გამჭვირვალედ მიუთითა, რომ იტალიას აქვს ინტერესები აზიის და აფრიკის მიმართულებით.

მუსოლინის სიტყვის ამ ადგილმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა თურქეთში და გამოიწვია შეშფოთება. თურქეთის პარლამენტში შეტანილ იქნა შეკითხვა. შეკითხვაზე პასუხი გასცა საგარეო საქმეთა მინისტრმა თევფიკ რუშტი-ბეიმ. „თურქეთის მთავრობა, — განაცხადა მან, — მთელი სერიოზულობით მოეპყრა ამ სიტყვას. ვინაიდან თურქეთს აზიაში ჰყავს ძვირფასი მეგობრები, აქვს იქ ხელუხლებელი ტერიტორია და დიდი ინტერესები". შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ თურქეთის ელჩი ესაუბრა მუსოლინის. უკანასკნელმა განუცხადა ელჩს, რომ თავისი სიტყვის დროს მას მხედველობაში არ ჰქონდა თურქეთი და რომ მისი მეგობრული გრძნობები თურქეთისადმი გულწრფელია.

მიუთითა რა თურქეთის ერთგულებაზე მშვიდობიანობის საქმისადმი, თევფიკ რუშტი-ბეიმ განაცხადა, რომ თურქეთი ამაგრებს თავის სამხედრო ძლიერებას, რათა მუდამ მზად იყოს იმისათვის, რომ შეხვდეს მოსალოდნელ საფრთხეს და დაიცვას თურქეთის რევოლუციის შემოქმედებითი საქმე (ადს).

„მე პოლიტგანყოფილების პარტკომისიის დადგენილებას არ ვცნობ"

(ტექნიკოსის წერილი)

ვმუშაობდი ა.-კ. რკ. გზის ზესტაფონის წევის ქვესადგურში მორიგე ტექნიკოსად და ამავე დროს ვიყავი ადგილკომის თავმჯდომარე. ადგილკომის სამუშაო გეგმის მიხედვით ა.-კ. მე-8 კვარტალის საწ.-საფ. გეგმების შესრულების შესახებ მოხსენება გავაკეთებინე ქვესადგურის გამგეს ამხ. პავლე თავაძეს. გამოირკვა, რომ ქვესადგურის გამგე თავაძემ ჩაშალა ტექ-მინიმუმის წრის მეცადინეობა, არ ღებულობდა და არ ატარებდა მუშათა საქმიან წინადადებებს, არ აქცევდა ყურადღებას შრომის დისციპლინის განმტკიცებას, თანამშრომლები სამუშაოზე მთვრალი ცხადდებოდენ. ხშირად ადგილი ჰქონდა სამუშაო დღეების გაცდენას, თავაძე ახშობდა თვითკრიტიკას, რაშიც მას მხარს უჭერდა კომუჯრედის მდივანი ვლ. ბატკუაშვილი. ამ დღიდან (როდესაც თავაძის მოხსენება კრებაზე იქნა მოსმენილი) თავაძემ დაიწყო ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა. ერთ დღეს თავაძემ დამიბარა ქვესადგურში და კატეგორიულად გამიცხადა: „ხვალ საიდანაც გინდა მომიტანე მოწმობა, რომ შენ ტექნიკოსად მუშაობა არ შეგიძლიაო", თუ რათ ჭირდებოდა ასეთი ცნობა, მან არ მითხრა.

როდესაც სამორიგეოდ მივედი, თავაძემ სამუშაოზე არ დამიშვა და უკანონო ბრძანება მომცა მემუშავა ელექტრიკოსის თანაშემწედ. რამდენიმე დღის შემდეგ შევეკითხე, თუ რა მიზეზით არ მიშვებდა ჩემს თანამდებობაზე; ამაზე მან მიპასუხა: „ელექტრიკოსები საკმაოდ მყავს და შენ შეიძლება კიდევაც მოგხსნაო". ეს „დაპირება" კიდეც შეასრულა. დაწერა ბრძანება და მომხსნა სამუშაოდან.

ჩემი უკანონოდ მოხსნა გავასაჩივრე ზესტაფონის რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინსპექციაში. გამოყოფილი კომისიის დასკვნით გამართლებული ვიქენი, რაისაკ. კომისია-მუშგლეხინსპმა გამოიტანა დადგენილება ჩემი სამსახურში აღდგენის შესახებ, მაგრამ თავაძემ მაინც არ დამიშვა სამუშაოზე.

ამის შემდეგ ა.-კ. რკ. გზის 1-ლი რაიონის პოლიტგანყოფილების პარტკომისიამაც დაადგინა სამსახურში ჩემი აღდგენა. თავაძე არც ამ დადგენილებას დაემორჩილა და უტიფრად განაცხადა: მე პოლიტგანყოფილების პარტკომისიის დადგენილებას არ ვცნობ და არც ვემორჩილებიო. აგერ მეორე თვეა, რაც ასე უკანონოდ ვარ მოხსნილი და ჩემს სამსახურში აღდგენას, მიუხედავად ხსენებული დადგენილებისა, არაფერი ეშველა.

დ. ბარაბაძე

მანჯგალაძემ მიითვისა კოლმეურნეების ფული

(კოლმეურნის წერილი)

გასული წლის ივნისში, სოფ. ძვ. სენაკში ჩამოვიდა სოფ. გულეხბეთის (აბაშის რაიონი) მცხოვრები მიხა მანჯგალაძე. მან თან ჩამოიტანა ზესტაფონის საბინაო კოოპერაციის რწმუნება იმის შესახებ, რომ, მას უფლება აქვს მოსახლეობაში შეაგროვოს ფული, კრამიტის შესაძენად.

დაფაცურდნენ კოლმეურნეები ილარიონ ცაგურია და ნიკო მეძველია. მათ მიხა მანჯგალაძეს მისცეს 1250 მან. იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს გასული წლის 15 აგვისტოსათვის კრამიტი მიეტანა ამ კოლმეურნეებისათვის. უკვე წელიწადი გადის და მანჯგალაძეს არც კრამიტი მიუტანია, და არც ფული ჩაუბარებია. მანჯგალაძე იმალება კოლმეურნეებს, რომელთაც ფული გამოართვა.

მანჯგალაძისთვის ეს პირველი არ არის. მან ერთი სასჯელი უკვე მოიხადა სახირის რაიონში კოოპერაციის ფულის გაფლანგვის გამო; როგორც ჩანს იგი თავისას არ იშლის. მანჯგალაძე ახლა ტფილისში ცხოვრობს. საჭიროა ამ საქმეში ტფილისის პროკურატურა ჩაერიოს და ამ გაუსწორებელი აფერისტის მანჯგალაძის წინააღმდეგ ზომები მიიღოს.

ვლადიმერ მეძველია.

გამოუქვეყნებელ წერილების კვალდაკვალ

კვირიკაშვილს და წამალაიძეს პენსია მოეხსნათ

რედაქციამ ყაზბეგის რაიონიდან მიიღო კორესპონდენცია, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მაქრო კვირიკაშვილი და ვანო წამალაიძე პენსიას უკანონოდ ღებულობდენ. კვირიკაშვილი ხულიგნური მოქმედებისთვის მკლავში დაჭრეს, მიუხედავად შრომისუუნარობისა იგი პენსიას იღებს. ვანო წამალაიძე ხელოსანია, საკუთარი სახელოსნო აქვს და ხალხს ვაჭრულად ყვლეფს. ამავე დროს იგი პენსიას ღებულობს.

რედაქციამ აღნიშნული კორესპონდენცია გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ყაზბეგის რაი-პროფსაბჭოს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, რის საფუძველზე კვირიკაშვილს და წამალაიძეს პენსია მოეხსნათ.

ჩახიბაია მოხსნილია სამუშაოდან

რედაქციაში შემოვიდა კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ჩხოროწყუს რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარეს — ვარლამ ჩახიბაიას. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ პროფსაბჭოს მუშაობა ჯერ კიდევ არა არის გარდაქმნილი მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე, ადგილი აქვს სამუშაო დროის გაცდენას, ჩახიბაია ხელს უწყობს შრომის დისციპლინის შესუსტებას, სამუშაო საათებში სასადილოებში და ღვინის სარდაფებში დაბორიალება და სხვ.

რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქართველოს პროფსაბჭოს, რომელიც გვატყობინებს, რომ ჩახიბაიაზე წაყენებული ბრალდებები მთლიანად დადასტურდა, რის გამოც იგი მოხსნილია რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარეობიდან.

აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლიანობისათვის

ჭიის რაციონალური კვება და მოვლა

მართალია, მეაბრეშუმეობის განვითარებაში დიდი გარდატეხა მოხდა, მაგრამ ჭიის გამოკვების ტექნიკა ჩვენში ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე დგას, რითაც უმთავრესად აიხსნება აბრეშუმის ჭიის საშუალო მოსავლიანობის დაბალი დონე. ჩვენში ჯერ კიდევ მრავალია ისეთი მეაბრეშუმე, რომელიც ჭიის გამოკვებას პრიმიტიული წესით აწარმოებს. პარკის მოსავლიანობაზე არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თესლის სიჯანსაღეს, არამედ მის მოვლასაც. კარგი ხარისხის თესლი, თუ ჭიის სათანადო მოვლა არ აქვს, მცირე მოსავალს იძლევა.

1933 წელს სხვა წლებთან შედარებით ჭიის გამოკვებას უფრო სერიოზულად მოკიდა ხელი კოლმეურნე და ინდივიდუალურმა გლეხობამ. ამას ხელი შეუწყო საკონტრაქტაციო პირობების გაუმჯობესებამ და იმ მეაბრეშუმეების დაჯილდოვებამ, რომლებმაც პარკის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მოწინავე რაიონების და საუკეთესო მეაბრეშუმეების დასაჯილდოებლად. საქართველოს აბრეშუმის ტრესტს წელსაც გამოყოფილი აქვს საპრემიო თანხა 43.000 მანეთის რაოდენობით.

* * *

იმისათვის, რომ აბრეშუმის დიდი მოსავალი მიიღოს მეაბრეშუმემ, მან უნდა იცოდეს ჭიის წესიერი მოვლა: როგორ უნდა კვებოს ჭია, როგორ მოუაროს მას, რომ განვითარების სრულ სიძნელეს ჭიამ მიაღწიოს განსაკუთრებით პირველ სამ ჰასაკში;

აბრეშუმის ჭიის ბევრნაირი ავადმყოფობა ჩვენში გავრცელებული. ამის გამო სანამ აბრეშუმის ჭიის გამოკვებას დავიწყებდეთ, აუცილებელია იმ ბინების და ხელსაწყოების საფუძვლიანი დეზინფექცია, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას ჭიის გამოკვების პერიოდში, დეზინფექცია უნდა მოხდეს როგორც აბრეშუმის ჭიის გამოკვების დაწყებამდე, ისე გამოკვების შემდეგ.

აუცილებელია საჭიე ბინისა და ინვენტარის (ხელსაწყოების) დასუფთავება ტუტიანი წყლით, რომლითაც უნდა გაიწმინდოს გამოსაკვები საჭიე ბინის ფანჯრები, კარები, კედლები და გამოკვების დროს საჭირო ყველა ხელსაწყოები. გარეცხილი ხელსაწყოები მზეზე უნდა გაიშროს. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ გამზეურება ხოცავს მიკრობებს. ასეთი დასუფთავების გარდა საჭიროა დეზინფექცია 2 პროც. ფორმალინით, ან ქლორიანი კირით,

მეაბრეშუმემ გამოსაკვებად მხოლოდ იმდენი ჭია უნდა აიყვანოს, რამდენსაც უზრუნველყოფს საკვებით (ფოთლით), მუშა-ხელით და საჭიე ბინის ფართობით.

სანამ ჭიის გამოკვება დაიწყებოდეს მეაბრეშუმემ უნდა მოიმარაგოს ჭიის ყველა ჰასაკისათვის თაროები, რომელიც უნდა გამოიყენოს გამოკვების დროს. წინასწარ უნდა მოიმარაგოს აგრეთვე თერმომეტრი, მაგიდა, ფიცარი, დანა (ფოთლის დასაჭრელად), კალათი, სეკატორი ტოტების დასაჭრელად, ცოცხი, სათანადო ტილო სინესტის დასაყენებლად და დაუშლელი კირი სინესტის დასაწევად.

როგორც ვიცით აბრეშუმის თესლიდან ჭიების გამოჩეკა 3—4 დღეს გრძელდება. სხვადასხვა დროს გამოჩეკილი ჭიები ერთმანეთში არ უნდა აურიოთ, ცალკ-ცალკე უნდა მოვათავსოთ, უკანასკნელად გამოჩეკილი ჭიები გაძლიერებულად (ხშირად) უნდა ვკვებოთ. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ბოლოს გამოჩეკილი ჭიები განვითარების მხრივ დაეწიოს პირველად გამოჩეკილებს, ამ მიზნით პირველ დღეს გამოჩეკილი ჭიები დღეში 6-ჯერ უნდა ვკვებოთ, მეორე დღეს გამოჩეკილი 8-ჯერ და მესამე დღეს გამოჩეკილი 10-ჯერ.

ჭიების „გათანასწორებაზე" დადებითად მოქმედობს აგრეთვე სითბო, ამიტომ მეორე—მესამე დღეს გამოჩეკილი ჭიები უნდა მოვათავსოთ თაროს ზედა ნაწილზე. ჭიებს პირველ ხანებში უნდა მივცეთ წვრილად დაჭრილი ფოთოლი, ფოთლის დაჭრა უნდა შეუფარდოთ ჰასაკის ცვალებადობას. რაც პატარაა ჭია, ფოთოლი მით უფრო წვრილად იჭრება ჭიის ზრდასთან ერთად ფოთოლიც მსხვილად უნდა დაიჭრას. განსაკუთრებით პირველ სამ ჰასაკში ჭიას უნდა ვაძლიოთ იმდენი ფოთოლი, რამდენსაც შეჭამს, რომ ძალა მოიკრიბოს კანის გამოსაცვლელად. თუ ამ დროს ჭიას გაძლიერებულად (ხშირად) არ კვებავთ, იგი ცხიმსაც (სისუქნეს). ნაკლებად აგროვებს ორგანიზმში, სუსტდება, უფრო მეტ ხანს ანდომებს კანის გამოცვლას, რაც საგრძნობლად მოქმედობს ჭიის ჯანსაღობაზე.

ჭიების დაძინების წინ საჭიროა ნაძირის (ბუდნის) გამოცვლა, რომ ნაძირმა კანის ცვლას ხელი არ შეუშალოს.

ზოგიერთი მეაბრეშუმე, შეამჩნევს თუ არა, რომ ჭიამ დაიძინა, შესწყვეტს ფოთლის მიწოდებას. ეს ძლიერ მავნებელია, ვინაიდან ჩამორჩენილი, დაუძინებელი ჭიები მშიერი რჩებიან და სუსტდებიან, რაც კანის ცვლის დროს იწვევს ერთი მხრით ჭიების არა თანაბარ განვითარებას, მეორე მხრივ თვით ჭიის ორგანიზმის დასუსტებას და ზოგჯერ დახოცვასაც.

თუ კანის ცვლის დროს ზუსტად დავიცავთ ზემოხსენებულ პირობებს — ნორმალურ სინესტეს, სითბოს და ჩამორჩენილ ჭიების საკვებს მივაწოდებთ, ჭიები მწყობრად დაიძინებენ და კანის ცვლაც ნორმალურად ჩატარდება. როცა ჭიები კანს გამოიცვლიან და მეორე ჰასაკში გადავლენ მეორდება ჭიებისმოვლის იგივე წესები, მხოლოდ მეორე ჰასაკში ჭიას საკვებად ეძლევა ოდნავ მომწიფებული ფოთოლი, მესამე ჰასაკში კიდევ უფრო მომწიფებული, ვიდრე მეორეში, მაგრამ არა სრულიად ზრდა-დამთავრებული.

პირველ და მეორე ჰასაკის ჭიის საუკეთესო საკვებად ითვლება თვით ხეზე ტოტის ზედა ნაწილიდან მოკრეფილი მეორე, მესამე და მეოთხე ფოთოლი, რომელიც წვრილად უნდა დაიჭრას.

მესამე ჰასაკის ჭიას უნდა მიეცეს უფრო მომწიფებული, ტოტის ზედა ნაწილიდან მეექვსე-მეშვიდე ფოთოლი. ტოტებზე ფოთოლი ისე უნდა მოვკრიფოთ, რომ სხვა ფოთოლი და კვირტები არ დაზიანდეს. ჭიას არ უნდა მივაწოდოთ საკვებათ ჟანგით დაავადებული და ლაქებიანი ფოთოლი, არ უნდა მიეცეს აგრეთვე სველი ფოთოლი, რომელიც თვით საჭიე ბინაში და ნაძირში აყენებს სინესტეს და ხელს უწყობს ავადმყოფობის გაჩენას.

დაჭრილ ფოთოლს ის უპირატესობა აქვს, რომ ჭია მას უფრო კარგად ჭამს და ნაძირს (ბუდნას) არ გადაყვება გამოცვლის დროს, როგორც ეს დაუჭრელ ფოთლით კვების დროს ხდება. პირველ სამ ჰასაკში ჭიის საკვები შემდეგი ნორმით უნდა მივაწოდოთ: პირველ ჰასაკში დღეში 7—8-ჯერ, მეორე ჰასაკში 6—7 ჯერ, მესამეში—6-ჯერ, საკვები უნდა ეძლეოდეს დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ფოთოლი გამოსაკვებ ფართობზე თანაბრად უნდა განაწილდეს, რომ ჭიებმა საკვები თანასწორად მიიღონ.

პარკის მოსავლიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საჭიე ბინაში სისუფთავის დაცვას, რაც ამავე დროს ჭიის დაავადებიდან დაცვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. სამწუხაროდ ჩვენში ბევრგან მეაბრეშუმეები ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

აუცილებელია საჭმელის ნარჩენების (ნაძირის) სისტემატიური გამოცვლა. პირველ ჰასაკში ნაძირი უნდა გამოუცვალოთ ყოველ ორი დღის შემდეგ, მეორე და მესამე ჰასაკში კი დღეგამოშვებით, ნესტიან და წვიმიან დღეებში საჭიროა ნაძირის ყოველდღე გამოცვლა, რომ ზედმეტი სინესტე არ შეიქნეს.

* * *

მეოთხე ჰასაკის დაწყებიდან მდგომარეობა სრულიად იცვლება, მეოთხე-მეხუთე ჰასაკიდან ჭიის გაცილებით მეტი გამოსაკვები ფართობი ჭირდება, ეს ფართობი ყოველდღიურად მატულობს პარკის ახვევის დაწყებამდე. მეოთხე-მეხუთე ჰასაკში ჭია ასეთი გარკვევით ითხოვს საკვებს და მუშახელს. მეოთხე და მეხუთე ჰასაკში ჭიის გამოკვება უნდა ვაწარმოოთ დაკიდულ, ან დადგმულ თაროებზე. წელს გამოცდილი იქნება აგრეთვე ა.-კ. მეაბრეშუმეობის სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტის მიერ ა. ულენტის გაუმჯობესებული ტიპის გამოსაკვები გამაკი, ამ სისტემის თაროების ხმარებას აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰიგიენის დაცვის, ისე კვების გაადვილებისა და ეკონომიური სარგებლიანობის მხრივ. ამ სისტემებით გამოკვების დროს თავიდან ავიცილებთ დაავადებას, ჭიის ფლაშერით, რომელიც მას უფრო მეოთხე და მეხუთე ჰასაკში უჩნდება.

იმ მიზნით, რომ მეაბრეშუმეებმა წელს გამოკვება ზემოხსენებულ ტიპის თაროებზე აწარმოონ. საქ. აბრეშუმტრესტი ინდივიდუალურად აძლევს მეაბრეშუმეებს გრძელვადიან სესხს 30.000 მანეთის რაოდენობით.

აბრეშუმის ჭიის ნორმალურად განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსაკვებ ფართობზე ჭიის თანაბრად განაწილებას. რამდენად სქლად (მჭიდროდ) არის ჭია ფართობზე, იმდენად არანორმალურია მისი განვითარება და მოსალოდნელია დაავადებაც. ამიტომ ყოველი ნაძირის გამოცვლის დროს ჭიების საკვები მოედანი 2—3 ჯერ უნდა გავადიდოთ.

მეოთხე-მეხუთე ჰასაკის ჭიისათვის ფოთოლი შემდეგნაირად უნდა დამზადდეს: ის ფოთოლი, რომელიც საღამოს უნდა მივაწოდოთ უნდა დამზადდეს დილით ცვრის გაშრობის შემდეგ, ხოლო დილის იჯრა ფოთოლი უნდა დავამზადოთ საღამოთი, სანამ ცვარი გაჩნდებოდეს და შევინახოთ იგი გრილ და სუფთა ადგილას.

თუ მეაბრეშუმე დაიცავს ზემოხსენებულ წესებს აბრეშუმის ჭიის გამოკვების დროს იგი უზრუნველყოფს დავალების შესრულებას, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივადაც, საგრძნობლად გაადიდებს აბრეშუმის მოსავლიანობას, თავიდან აიცდენს ჭიის დაავადება-დაღუპვას, მიიღებს მაღალი ხარისხის პარკს — და აქედან კარგ საფასურს დასაქონლებისა და ჯილდოსაც.

აგრ.. ბრ. მოქია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

ჩელიუსკინელთა დასახმარებლად

მთელს ჩრდილოეთში კარგი ამინდი დადგა

ხაბაროვსკი, 10 აპრილი (ელვა). კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან იტყობინებიან: მეტეოროლოგიური სადგურის ცნობებით მთელს ჩრდილოეთში 10 აპრილს დილიდან კარგი ამინდი დადგა. გუშინ გალიშევმა, დორონინმა, ვოდოპიანოვმა მთელი დღე ანადირში გაატარეს. ამინდმა მათ საშუალება არ მისცა გაფრენილიყვნენ.

„კრასინი" კირჩხიბის ტროპიკთან

ყინულისმჭრელი „კრასინი", ატლანტის ოკეანე. 9 აპრილი. 16 საათი. (დეპეშათა საკავშირო სააგენტოს სპეც. კორესპონდენტისაგან). ქარიშხალი დაცხრა, ხვალ დილით ყინულისმჭრელი გადაჭრის კირჩხიბის ტროპიკს. იმედი გვაქვს 1.. აპრილს მივაღწევთ პანამის არხს. ყინულისმჭრელი ორი დღით შეჩერდება პანამაში ქვანახშირის დასატვირთად, ხოლო შემდეგ გაემართება [illegible]. ექსპედიციის უფროსმა ამხ. [illegible] მიზნის, რაც შეიძლება უფრო სწრაფად მისაღწევად, გადაწყვიტა არ შევიდეს სან-ფრანცისკოში, ამით მოვიგებთ ორ დღეს. „კრასინი" ქვანახშირს მიიღებს კანადის ნავთსადგურ კომოკსში, რომელიც მდებარეობს ვანკუვერის კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში.

ტროპიკებში მოხვედრით ჩვენ გავიგეთ, თუ რა იშვიათი სიზუსტით გაითვალისწინა სარდლობამ ყინულისმჭრელისათვის უჩვეულო გადასვლის თავისებურებანი. ელექტრონული ვენტილატორების გარდა, სამანქანო განყოფილებასა და ცეცხლსაფარეშოში ჩაშვებულია ბრეზენტის ვინძელები, რომლებითაც გადის წყალი. პოლარულ მეზღვაურებს, ცეცხლფარეშებს, ახლა მუშაობა სრულიად უჩვეულო პირობებში უხდებათ. ცეცხლფარეშთა შორის გაიშალა შეჯიბრება ექსპედიციის უფროსის მიერ სრული სისწრაფით სვლის უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული ბრძანების შესრულებაზე.

გმირობა, რომლითაც ამაყობს კომკავშირი

მოსკოვი, 9 აპრილი. ითიი თვის წინათ კომკავშირელმა მფრინავმა **ლიაპიდევსკიმ** თავისი თვითმფრინავით **შმიდტის** ბანაკიდან ხმელეთზე გადმოიყვანა ქალები და ბავშვები. დღეს ხამხიდრო მფრინავმა კომკავშირელმა **კამანინმა** და მფრინავმა **მოლოკოვმა** მოახდინეს კიდევ ერთი გმირული რეისი და გადაარჩინეს ყინულიდან უდაბნოს ხუთი უნებლიე ტუსაღი.

უდიდესი სიამაყის გრძნობებს იწვევს დღის კომკავშირელებში (ჯნობა ჩვენ თანამებრძოლთა ჩვენი კამერი) წევრთა საგმირო საქმის შესახებ.

კომკავშირის საშინაო საჰაერო ფლოტის მფრინავებმა, რომელნიც იბრძვიან ჩელიუსკინელთა გადასარჩენად და ახალი გზები გაჰყავთ შორეულ არქტიკაში, ომაგალითით გმირობის შეუპოვრობის და სიმტკიცის ახალი ფურცლები ჩასწერეს სტიქიასთან ბრძოლის ისტორიაში.

სულით და გულით ულოცავს რა პოლარულ მფრინავებს, რომელნიც შორეულ ჩუკოტიაში იბრძვიან თავისი ამხანაგების—ჩელიუსკინელების სიცოცხლის გადარჩენისათვის, საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ გაბედული პილოტების გმირობა ალაფრთოვანებს კომკავშირელებს საავიაციო კულტურის დაუფლებისათვის საბრძოლველად, საჰაერო სტიქიასთან ბრძოლაში ახალი, გამარჯვებების მისაღწევად.

საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
გორშენინი

კრასინელები ფიქრობენ პანამის არხი გადაჭრან 16-17 აპრილს

მოსკოვი, 9 აპრილი. („იზვესტიას" სპეცკორისაგან). ყინულისმჭრელ „კრასინის" ექსპედიციის უფროსის მოადგილე ამხ. ევგენოვი იტყობინება, რომ პანამის არხამდე ყინულისმჭრელს დარჩა 2.450 მილი. „კრასინს" წინანდებურად უხდება ქარიშხლის ძალზე დროგამოშვებით მოდის კოკისპირული წვიმა. კრასინელები ფიქრობენ პანამის არხი გადაჭრან 16—17 აპრილს (ადს).

„სმოლენსკი" გავიდა ოლუტორსკაიას უბიდან

მოსკოვი, 9 აპრილი. „იზვესტიას" საკუთარი კორესპონდენტი იტყობინება, რომ 9 აპრილს გემმა „სმოლენსკიმ" დაამთავრა თვითმფრინავების დატვირთვა, რის შემდეგ იგი გავიდა ოლუტორსკაიას უბიდან. გემმა კურსი აიღო პროვიდენიეს უბისაკენ (ადს).

პილოტ ვოდოპიანოვის რადიოგრამა

მოსკოვი, 9 აპრილი. „პრავდაში" გამოქვეყნებულია პილოტ ვოდოპიანოვის რადიოგრამა, რომელშიც ნათქვამია, რომ 9 აპრილს პურგა გათავდა თოვლიდან ვიღებთ და ვასუფთავებთ თვითმფრინავებს. რადგან აეროდრომი უვარგისი გახდა, ვემზადებთ ბილიკს ასაფრენად. თუ კარგი ამინდი დადგა, მფრინავები აპირებენ გაფრენას ანადირის ქედით პირდაპირ ვანკარემისაკენ. ხოლო თუ ვერ უცდი ხილულობის შემთხვევაში — უელენისაკენ.

სტალინგრადი გაემართა პროვიდენიეს უბესაკენ

კამჩატკის პეტროპავლოვსკი. 9 აპრილი (ელვა). 9 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე „სტალინგრადი", რომელმაც დაამთავრა „სოვეტის" გადმოტვირთვა, პეტროპავლოვსკიდან გაემართა პროვიდენიეს უბისაკენ პეტროპავლოვსკში „სტალინგრადმა" ბორტზე აიღო ექსპედიციის გარდა მიიღო დამატებით მფრინავ სვიატოგოროვის და მფრინავ - მეთვალყურის ტოსაკოვის მრავალადგილიანი თვითმფრინავი, ერთი ტრაქტორი, ავტოგენური აპარატი და საშენი მასალა (ადს).

ავაჩინსკის ვულკანის კრატერზე ასვლა

ხაბაროვსკი, 9 აპრილი. სანაპირო რაზმის მუშაკები ამხ. სიდოროვი და დუნდოკოვი, რომლებმაც გასულ წელს მონაწილეობა მიიღეს სათხილამურო გაზბენში კამჩატკიდან პეტროპავლოვსკამდე, ზამთრის პირობებში ავიდნენ ავაჩინსკის ვულკანის კრატერზე. აღნიშნულმა მუშაკებმა ამოცანა დაისახეს მიეღწიათ კრატერს და დაბრუნებულიყვნენ უკან 24 საათის განმავლობაში. ეს ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული.

მწვერვალამდე 50 მეტრის მანძილზე, ჰაერის დაბალი ტემპერატურის მიუხედავად, მათ იგრძნეს სითბო ხელით გასინჯეს ქვა, რომელიც იმდენად ცხელი იყო, რომ სითბო ატანდა ჩექმების სქელ ლანჩის ტყავში.

როცა მწვერვალს მიაღწიეს, თვალწინ უდიდესი პერსპექტივა იშლებოდა. ყველაფერი მოჩანდა ირგვლივ 200 კილომეტრის მანძილზე. ვულკანის კრატერი უშველებელ გაზების ტალღებს, რომლებსაც ქარი მიმოაბნევდა. თვით კრატერი წარმოადგენს ჩაღრმავებულ ადგილს, რომლის წრე დახლოებით ერთ კილომეტრს უდრის, ხოლო მისი სიღრმე — 150—200 მეტრს. ფსკერიდან სქლად მოჩქეფდა მოყვითალო ფერის ცვალი, რომლებსაც გოგირდწყალბადის სუნი ასდიოდა. ყველაზე მეტ ცეცხლს გამოყოფს კრატერის ჩრდილოეთი მხარე. გარშემო ყველგან მოიპოვება გამობერილი ქვა, ერთ ალაგას ამოხეთქილი ლავა გაყინულია როგორც მთლიანი ხარისხებური ჭაობი.

ავაჩინსკის ვულკანი (ავაჩის მთა) — კამჩატკის მუდამ მხრჩოლავი ვულკანი, რომელიც ვეზუვს მოგვაგონებს. მდებარეობს ქ. პეტროპავლოვსკის ჩრდილოეთით ავაჩის ყურის მახლობლად. ვულკანის სიმაღლე 2.790 მეტრს უდრის. მისი კონუსისებური მწვერვალი მუდამ თოვლითაა დაფარული. მუდამ კვამლი ასდის. ვულკანის ყველაზე უფრო ძლიერი ამოხეთქა მოხდა 1737 წელს ხოლო უკანასკნელი — 1855 წლის მაისში (ადს).

ციკლონი შორეულ-აღმოსავლეთს მხარეში

ხაბაროვსკი, 9 აპრილი. (ელვა). მხარის დიდ ნაწილში მძვინვარებს ციკლონი. ხაბაროვსკში ქარიშხალმა სახურავი გადაგლიჯა რამდენიმე სახლს. 8 აპრილს, ღამით შეწყდა დენის მიწოდება ელექტროსადგურიდან, ნაწილობრივ დაირღვა სატელეფონო კავშირი. სახალინის კუნძულზე ალექსანდროვსკში ციკლონმა სახლებს მოგლიჯა სახურავები. ქალაქი უსინათლოდ დარჩა, შეწყვიტეს მუშაობა ტელეფონებმა, გემი „ოხოტსკი" რომელიც რეიდზე იტვირთებოდა, იძულებული გახდა შეეწყვიტა დატვირთვა და გასულიყო ზღვაში. ალექსანდროვსკში ჰქვა - ქუხილი უცნაური იყო ქუხილის გაგონება იმ დროს, როცა ქუჩები ავსებულია 2 მეტრიანი თოვლით. სახალინზე საერთოდ არ იციან ჰექა-ქუხილი, მით უმეტეს ამ დროს.

როგორც [illegible] დეპეშათა საკავშირო სააგენტოს თანამშრომელს ამინდის ცენტრალური ბიუროში (მოსკოვში) განუცხადეს ჯერ კიდევ 7 აპრილს შეიძლებოდა ციკლონის შემჩნევა ბაიკალის ტბის აღმოსავლეთით (დაახლოებით ბლაგოვეშჩენსკის რაიონში). მაგრამ მისი ხასიათი სუსტად იყო გამოხატული — ქარი არა უძლიერეს 5 ბალისა. 8 აპრილს ციკლონი საგრძნობლად გაძლიერდა და გადაიწია აღმოსავლეთისაკენ. მისი ცენტრი გადავიდა ბლაგოვეშჩენსკის დასავლეთით, სადაც იყო 3 გრად. სითბო და სამხრეთის 6 ბალიანი ქარები.

9 აპრილს ციკლონი კვლავ გადავიდა აღმოსავლეთისაკენ და უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. მისი ცენტრი იყო ბლაგოვეშჩენსკიდან ოხოტსკის ზღვამდე. ჩრდილოეთ აღმოსავლეთის მიმართულებით. ქარებმა 7—8 ბალის ძალას მიაღწიეს. აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ციკლონები ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ისინი იშვიათად აღწევენ ისეთ ინტენსიურობას, რომლის შესახებაც ლაპარაკია დღევანდელ დეპეშაში. ინტენსიურობა გაძლიერდა ტემპერატურების მკვეთრი კონტრა[illegible] ერთის მხრით, ციმბირის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ნაწილიდან მომავალი ჰაერის ცივ არქტიკულ მასებსა და, მეორეს მხრივ, — სამხრეთიდან თბილ კონტინენტალურ მდინარეებს შორის. ციკლონის დაწყების დროს არქტიკის ჰაერის ტემპერატურა უდრიდა 20—27 გრადუსს ნულს ქვემოთ. ამჟამად ციკლონი მიიწევს ჩრდილოეთ - აღმოსავლეთისაკენ —ბლაგოვეშჩენსკი - ოხოტის ზღვის ნაპირები. შემდეგ კამჩატკის ჩრდილოეთი ნაწილი და ბერინგის სრუტე 8 აპრილს ციკლონის ცენტრში წნევა 995 მილიმეტრით განისაზღვრებოდა, ხოლო 9 აპრილს იგი უკვე უფრო მაღალია. — ეს იმას ნიშნავს, რომ ციკლონი ცხრება.

სახალინის ალექსანდროვსკში ჰექა-ქუხილი მართლაც იშვიათი მოვლენაა. ციკლონის მოახლოებამ აქ გამოიწვია ჰაერის ძლიერი მდინარება სამხრეთისაკენ. რასაც შედეგად მოჰყვა ჰექა-ქუხილი (ადს).

საბჭოთა კავშირში ფართო ხასიათის მოხმარების საგნების გამოშვება

მოსკოვი, 9 აპრილი. მეორე კვარტალში ძიმე მრეწველობა ფართო ბაზრისათვის გამოუშვებს 418.800 ათასი მანეთის საქონელს (1932 წლის ფასებში). გასულ წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ზრდა 39 პროც. უდრის. განსაკუთრებით მატულობს ლითონის და ელექტროტექნიკური ფართო მოხმარების საგნების გამოშვება. კერძოდ გამოშვებული იქნება 10 ათასი საკერავი მანქანა, 84 ათასი პრიმუსი, 450 ათასი ხავთქურა, 223 ათასი ლითონის საწოლი, 29 ათასი ფოტო-აპარატი, 66 ათასი გრამოფონი, პატეფონი და ელექტროფონი, 1.171 ათასი საათი „ხოდიკი"; მალვიძარი და მაგიდისა, გამოშვებული იქნება ლითონის ჭურჭლეულის დიდძალი რაოდენობა, 9.285 ტონა თუჯის, 9.563 ტონა თუთიაგადაკრული და 8.483 ტონა ემალის ჭურჭელი (ადს).

საგაზაფხულო ვაჭრობა

მოეწყო 6 ახალი სავაჭრო

საგაზაფხულო ვაჭრობის დაწყებასთან დაკავშირებით ტფილისში გაიხსნა და ბაზრობაში ჩაება 6 ახალი მაღაზია: საქრძნელის მაღაზია — შტაბის ქუჩაზე, საქკვებვაჭრობის ზღლია — პუშკინის ქუჩაზე, ფაიფურის და სილიკატურ ნაწარმოებთა მაღაზია (ტ.ს.ო.კ.-ის) თავისუფლების მოედანზე. ფეხსაცმელების მაღაზია ვორისის ქუჩაზე (საქვაჭრობის) და საკონდიტრო ნაწარმთა მაღაზია კომინტერნის ქუჩაზე.

მაღაზიები მომარაგებული არიან საქონლის მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

საქვაჭროების მე-48 მაღაზიის გამოცდილება

საქვაჭრობის მაღაზიას № 48 (პლეხანოვის პროსპ.); აქვს ავეჯეულობის განყოფილება. მიუხედავად ავეჯეულობაზე დიდი მოთხოვნილების, საგრძნობლად დაკლებისა, მაღაზიაში მაინც მოდის ეს ავეჯეულობა მდარე ხარისხის იყო. მაღაზიის გამგის და ავეჯეულობის სექციის ინიციატივით მთელი ავეჯეულობა, რაც მაღაზიაში იყო ხელახლა შეაკეთეს, შეაფეს, მაგიდებს, სკამებს და სხვ. გამოცვალეს დაზიანებული ნაწილები და ხელ ახლა გამოფინეს გასასყიდად. შეკეთების შემდეგ ავეჯეულობა შემოწმებულ იქნა, როგორც პირველხარისხოვანი პროდუქცია, მომხმარებლები გაჩნდენ და ვეობით ჩაწოლილი ავეჯეულობის ნახევარი უკვე გასაღებულ იქნა სამი დღის განმავლობაში.

ამგვარად, უმნიშვნელო ხარჯის გაწევით მაღაზიამ შეძლო ჩაწოლილი საქონლის გასაღება. ბრუნვის გადიდება და მომხმარებელთათვის მიწოდებული ავეჯეულობის ხარისხის გაუმჯობესება, მაღაზიის გასაღებული ავეჯი საკუთარი ხარჯით მიაქვს მყიდველის სახლში.

მუშაობის ხარისხი—გამარჯვების პირობაა

საგაზაფხულო ვაჭრობის ხელმძღვანელმა კომისიამ აცნობა მაღაზიების გამგეებს და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ საგაზაფხულო ვაჭრობის შედეგების შეჯამებისას დაწინაურებულთა შორის პრემიების განაწილება მოხდება არა მარტო იმის მიხედვით, თუ როგორ შეასრულეს მაღაზიებმა; ან ხელმძღვანელმა სავაჭრო ორგანიზაციებმა საფინანსო გეგმები, არამედ მხედველობაში იქნება მიღებული მაღაზიის მუშაობის ხარისხიც.

მაღაზიათა გამგეებს წინადადება აქვთ მიცემული განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის მოწესრიგების საქმეს — შემოიღონ მომხმარებელთათვის საქონლის სახლში მიტანის პრაქტიკა, არ დაუშვან უწესობა ვაჭრობის დროს (დიდი რიგები, უხეში მოპყრობა, მომხმარებლებისადმი და სხვ.), გამოსახონ ადგილზე იქონიონ საჩივრის ყუთები და წიგნაკები.

15 აპრილიდან იწყება სახალხო მეურნეობის ახალი აღრიცხვა

მიმდინარე წლის 15 აპრილიდან საქართველოში დაიწყება სახალხო მეურნეობის ახალი წესით აღრიცხვა, სოფლად აღრიცხვის ჩატარება დავალებული აქვთ სასოფლო საბჭოებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აღრიცხვის ჩატარებისათვის მზადება მეტად სუსტად მიმდინარეობს.

სახ. კომისარიატებს დავალებული ჰქონდათ 15 მარტამდე უზრუნველეყოთ აღრიცხვის ფორმების ჩაბარება საქ. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოსათვის, რათა საქ. სახ. მეურნ. აღრიცხვის სამმართველოს შესაძლებლობა ჰქონოდა ეს ფორმები თავის დროზე გაემრავლებინა და ადგილებზე დაეგზავნა. მაგრამ სათანადო კომისარიატებმა ეს ფორმები 15 მარტის ნაცვლად 3 აპრილს გადასცეს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ მხრივ გულგრილობა გამოიჩინეს 1, 2 და მე-3 სტამბის დირექტორებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს საალრიცხვო ფორმების დაბეჭდვაზე, ამის გამო მათ განმეორებით შეუქმნეს საფრთხე, რომ საალრიცხვო ფორმების გამრავლება უზრუნველყოფს 15 აპრილამდე.

15 აპრილს საქ. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოში მოწვეულია „საქაღრიცხვის" სარაიონო ინსტრუქტორების რესპუბლიკური თათბირი. თათბირზე განხილული იქნება საკითხი სახალხო მეურნეობის ახალი წესით აღრიცხვის მნიშვნელობისა და მისი პრაქტიკული განხორციელების შესახებ, გარდა ამისა, 15 აპრილიდან „საქაღრიცხვა" რაიონებში გზავნის [illegible] ინსტრუქტორებს რომლებიც ოპერატიულად დაეხმარებიან ადგილობრივ ორგანიზაციებს აღრიცხვის ჩატარებაში და შეასწავლიან სოფ. საბჭოს მოანგარიშეებს და მდივნებს აღრიცხვის ახალი ფორმების შევსების წესებს.

რაიონის პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა იბრძოლონ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის და ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობით უზრუნველყონ სოფსაბჭოებში 15 აპრილიდან აღრიცხვის ახალი ფორმით და მეთოდით დაწყება.

გ. სადუნიშვილი

ხელოვნება

პაჭკორიას გუნდის კონცერტები კოლმეურნეობებში

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, განათლების კომისარიატმა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში კონცერტების გასამართავად გაგზავნა ქ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით არსებული მომღერალთა გუნდი.

გუნდმა შემოიარა გალის, ზუგდიდის, ხობის, სენაკის, მარტვილის და აბაშის რაიონები და გამართა 28 უფასო კონცერტი კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. მუშები ყველგან დიდი ზალისით ხვდებოდნენ გუნდს.

ზაფხულის პერიოდისათვის ქ. პაჭკორიას გუნდი მოკავშირე რესპუბლიკების კულტურულ მიღწევათა დემონსტრაციის მიზნით მიწვეულია მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

ამ გუნდს შეუერთდა კახეთის ცნობილი ხალხური მომღერალი მიხა ჯიღაური და გურული მომღერლები ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. გუნდი შესდგება 35 კაცისაგან.

ხელოვნების ქრონიკა

12 აპრილს 2 საათზე „კომუნისტის" რედაქციაში (ოთახი № 1) მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ: ამხ. მ. ტოროშელიძე, ა. ჭუმბი, დ. დემეტრაძე, გ. გიგინეიშვილი, შ. რადიანი, ალ. სულავა, გ. ლეარსამიძე, ქ. მელაძე, ა. კოპალიანი; შ. დუდუჩავა; დ. ბენაშვილი, გ. ნატროშვილი, გ. ბუაჩიძე, პ. სამსონიძე, შავგულიძე, პ. ჩხიკვაძე, კ. მოსიძე; ლ. ქიაჩელი; გ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, მ. ჯავახიშვილი, დ. კანდელაკი, კ. ლორთქიფანიძე, ც. გორგაძე, ნ მიწიშვილი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ი. ლისაშვილი; ნ. ზომლეთელი, ს. თალაკვაძე; პ. იაშვილი, გ. ქუჩიშვილი, მ. თოიძე და დ. კაკაბაძე.

ქ რ ო ნ ი კ ა

— 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე საქ. ცაკ-ის თავმჯდომარის ამხ. ფილიპე მახარაძის კაბინეტში მოწვეულია საზ-ბა „სოცკულტურას" ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— საქ. საბჭოთა მწერლების კავშირთან დაარსდა სამხედრო ლიტერატურის სექციის (ლიტ. კომისია), სექციის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. პლატონ მოროზაძე, პ-მგ. მდივნად ამხ. კალე ბობოხიძე.

— 12 აპრილს დღის 12 საათზე გამოსავლელი დღის უნივერსიტეტის მორიგ მეცადინეობაზე, ლექციას — „ენის წარმოშობა და განვითარება" წაიკითხავს პროფ. ჩიქობავა. შესვლა თავისუფალია.

[illegible]

დიდი სავეტერინარო საავადმყოფო

1-ლი მაისიდან ტფილისში იწყება დიდი სავეტერინარო საავადმყოფოს მშენებლობა, რაც უნდა დამთავრდეს 1935 წ. მეორე ნახევარში. საავადმყოფო მოეწყობა ტექნიკის და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების მიხედვით, იქ მოწყობილი იქნება სამეცნიერო საკვლევაძიებო კაბინეტები, ლაბორატორია, პროფილაქტორიუმი საქონლის დასაბანებლად და სხვ.

საავადმყოფო აგებული იქნება ქალაქის ნაპირა რაიონში — დოლაბაურში და მას დაეთმობა 3.5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

საავადმყოფოს შენობის პროექტს ამუშავებს ტფილისის საბჭოს ტექნიკური განყოფილება, ხოლო მშენებლობის წარმოება დავალებული აქვს ბინკომშენს.

წყალსადენის სახელოსნოს რეკონსტრუქცია

წყალკანალტრესტმა ჩაატარა წყალსადენის ქსელის მთლიანი შესწავლა, საიდანაც გამოირკვა, რომ სახლებში წყლის მცირე რაოდენობით მიღების მიზეზი არის ეზოებში წყალის გამტარი მილების დიამეტრის სიმცირე. ვიწრო მილები ადვილად ნაგვიანდება, კეთდება ე-წ. „პრობკები", რის გამოც წყალი აღარ მიდის ონკანამდე. გამოირკვა, რომ ქალაქის მარცხენა მხარეს უბნებში 6.583 აბონენტს აქვს ვიწრო დიამეტრიანი წყალსადენის მილი, მარჯვენა მხარის უბნებში კი — 3.578 აბონენტია, რომლებიც წყალს ვერ ღებულობენ ყოველთვის საკმაო რაოდენობით.

წყალკანალტრესტს გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს ასეთი აბონენტებისათვის წყალსადენის მილების შეცვლა უფრო დიდ დიამეტრიანი მილებით. ამის გამო საჭირო იქნება დიდი სამუშაოს ჩატარება რაც უნდა დამთავრდეს მომავალი წლის ზაფხულზე.

ამ სამუშაოებთან დაკავშირებით გადაწყვეტილია ჩატარებულ იქნეს წყალსადენის ცენტრალური სახელოსნოს რეკონსტრუქცია, რაც 850.000 მანეთი დაჯდება. სახელოსნო გადაკეთებული იქნება წყალსადენის მოწყობილობათა ქარხნად, იქ დაიდგმება ახალი მანქანები და მოეწყობა ახალი საამქროები.

მიმდინარე წელს სახელოსნოს სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაზე დაიხარჯება — 150.000 მანეთი.

დამკვრელური მუშაობის შედეგად შემოსავალი გაიზარდა 15000 მანეთით

თებერვალში წყალკანალტრესტმა დაიწყო ტფილისის წყალსადენის ქსელის ნაგებობათა შესწავლა — ურდულების, სახანძრო ონკანების, წყალსაზომების და სახლის შტოების მდგომარეობის გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ უბანში წყალი არ მიდიოდა ურდულების დაკეტვის გამო და მათი გაღება შეუძლებელი ხდებოდა. რადგან ქუჩაში წარმოებული სხვადასხვა მიწის სამუშაოების დროის ბევრგან ეს ურდულები მიწაში ჩამარხული აღმოჩნდა. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ მთელი რიგ ქუჩებზე და სწარმოებში ძველი, დაზიანებული წყალსაზომები აღარ მოქმედებენ.

გამოკვლევის ჩატარებასთან ერთად წყალკანალტრესტი აწარმოებდა მოშაობას დაკეტილი ურდულების გასაღებად, სახანძრო ონკანების წესრიგში მოსაყვანად, სახლის შტოების გასაწმენდად და წყალსაზომების შესაკეთებლად.

აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების შედეგად, მარტში გაუმჯობესდა მცხოვრებთათვის მიწოდებული წყლის აღრიცხვა, წყლის მიწოდება გაიზარდა 29.310 კუბომეტრით. ამის გამო მარტის განმავლობაში წყალსადენის მეურნეობის სალაროში შემოსულ იქნა 15.000 მანეთით მეტი შემოსავალი, ვიდრე წინა თვეებში.

ავტომატიური სატელეფონო სადგური ტფილისში

ტფილისში მთავრდება ავტომატიური სატელეფონო სადგურის მოწყობა 10 ათასი აბონენტისათვის. მარტის პირველ რიცხვებში სადგურის მონტაჟი შესრულებული იყო 55 პროცენტით. მთელი მოწყობილობა სადგურისათვის დამზადებულია ლენინგრადის ქარხნის—„კრასნაია ზარიას" მიერ. ქარხანა „კრასნაია ზარიას" სპეციალური ბრიგადის მიერ წარმოებს ავტომატურ სატელეფონო დარბაზის მონტაჟი 10 ათასი ნომრისათვის. სამუშაოთა მთელი ღირებულება უდრის 3.100 ათას მანეთს.

სურათზე: სამონტაჟო სამუშაოთა საუკეთესო დამკვრელი ამხ. ნოკოლაძე, რომელმაც მოხტაჟის ნორმა 105 პროცენტით შეასრულა.

ოფიციალური განყოფილება

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ხმარებიდან გამოსული ავტო-მო-ტო-რეზინის „რეზინოსბიტის" ამიერკავკასიის [illegible]ათვის [illegible]ბის შესახებ

„კაუჩუკის რეგენერაციის შესახებ" გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. თებერვლის 23-ის დადგენილებისა (ოქმი № 5, 1933 წ. თებერვლის 27) და „ხმარებიდან გამოსული რეზინის ნაკეთობათა ჩაბარების შესახებ" გამოცემული ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 836 №, 1933 წ. ოქტომბრის 12) შესაბამისად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას — ჩააბარონ, ერთი დეკადის ვადაზე დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, დაწესებულ ფასად, „რეზინოსბიტის" ამიერ-კავკასიის კანტორის საწყობებს შემდგომი ექსპლოატაციისათვის უვარგისი მთელი ავტო-პნევმატიკა, ე. ი. ავტო-მოტო, ჰაერო-გადასაზურავები და კამერები და შემდგომშიაც ჩააბარონ ხოლმე ასეთი ნაკეთობა კვარტალში ერთხელ მაინც. ქალ. ტფილისის გარეშე მყოფმა ორგანიზაციებმა უნდა გადაგზავნონ ავტოპნევმატიკა რკინის გზით იმავე მისამართით.

2. ძველი ავტო-პნევმატიკის მიყიდვა ან მიცემა სხვა ორგანიზაციებისათვის, გარდა „რეზინოსბიტისა", სასტიკად აკრძალულია.

3. წინადადება მიეცეს „რეზინოსბიტის" ამიერ-კავკასიის კანტორას უზრუნველყოს ძველი ავტო-პნევმატიკის დაუცადებელი მიღება საწყობებში და კონტროლი გაუწიოს ზემოაღნიშნული ორგანოების მიერ ამ დადგენილების შესრულებისათვის.

4. ამ დადგენილების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას 100 მანეთამდე, რაც დაიდება ადმინისტრაციულ გადასახდელთა დებულების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ით, მუხ. 207 და 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236 და 239).

საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ტურულაშვილი**
საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი **ქაჟთარაძე**
1934 წ. აპრილის 1
ტფილისი

სახ. [illegible] თეატრი

11 აპრილს 6 ათო. 17 ..არ	12 აპრილს 12 ..ოო 17 ..არ	13 აპრილს 4 .ბ.ნ. 17 ..არ
დუბროვსკი	კ ა რ მ ე ნ ი	ტრავიატა

[illegible] არ იქნება [illegible] და დაუშვებელი [illegible] ბავშვები არ დაიშვებიან [illegible].

[illegible] თეატრი

11 აპრილს 15 .. 8 ..არ	12 აპრილს 1.. 8 ..არ	13 აპრილს 6 .. 8 ..
ნაგიჟვარი	ნაგიჟვარი	ნაგიჟვარი

გაყიდული ბილეთები [illegible] თეატრის სალაროში სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

[illegible] თეატრი

11 აპრილს ..ოო ..ა..ში	12 აპრილს ..ბ.ნ. ..არ მე	14 აპრილს ..ოო ..ა..ში
ნინოშვილის გურია	ო ტ ე ლ ო	ნინოშვილის გურია

მზადდება „აპრაკუნე ჭიმჭიმელი"
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 11—2 ს. სად. 5—9 ს.

ახალქალაქი ხისხ-თეატრი

ოქტომბერი — დღეს ტემპი — ტ. ლ[illegible] — სპარტაკი 26 [illegible] — მეწიწოშება — ტაქსა [illegible] — დ[illegible] — ცეკვები

[illegible] ოქტომბრის ღამე	[illegible] 30 10
[illegible] ლეჩ[illegible]	3 30 9 10
მხიარული კოქაძეების სალაქო	[illegible]
საბჭოთა ... შიში 4	30 8-30 10-3
[illegible] ბრძოლა	7 30 9
მხედრი [illegible] ზელიმ-ხანი	[illegible]
საბუთების - დოკუმენტი	[illegible]
ზ ა ი ც ბ ა ბ ი ი	12 1-30 3
[illegible] (ავტომატური [illegible]) გაცვეთილი ფეხსაცმ. [illegible]	

გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბაში სწარმოებს

მოწაფეების მიღება

მანქანა

„ლინოტიპზე"

მოსამზადებლად.

აგრეთვე მიიღება დამხმარე მუშები 20-დან 30 წლამდე.

პირობები გაგება შეიძლება სტამბაში, კამოს ქ. 6ა, [illegible] მუშაობისა და [illegible] საბუთებით [illegible] და სა ხასიათოდან განთავისუფლების მოწმობა.

ა მინისტრაცია

ექიმი
ა. მ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრო-ორთ-ჩ ვანებით და ახალი [illegible]. [illegible] ელექტრო-აპარატებით [illegible] ძველაძის ქ. (ყოფ. სა პოროს) 19. იღებს დილით 10—1 ს. და სად. 6—8 ს. მისამართი [illegible] ლაძის შესახვევიდან.
25—11

ექიმი
გ. ნ. ოგანოვი
სიფილისი, ვენერიული და ქანის სნეულებანი
სქესობრივი უძლურების მკურნალობა
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12-მდე და საღამოთ 5—8-მდე (ნინოშვილის ქუჩა კოფ. ალექსანდროვის) № 5 ზაბრიკა „მერკიური"-ს [illegible]

ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
[illegible] და პირის სნეულებათა მკურნალობა პლომბები. [illegible] ხელოვნური ამოღება კბილების [illegible]. იღებს: 10—3 და 5—7 ს. მისამართი: [illegible] ქ. № 34 რუსთაველ. გამზ. კუთხე

ვ. ფ. ოთხმეზური
ქირურგიული სნეულებანი
იღებს სად. 5—7 საათამდე.
შემართი—გრიბოედოვის ქ. № 1945 5

ლაქტ[illegible] ყანეი ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვი
ასწავლის
მუსიკალურ[illegible]
[illegible] საათზე [illegible] თამარის 1 თუმანოვის (ორჯონ. ქ.) № 13
1871

[illegible] ..ებაა [illegible] ოჯახი [illegible] ინ[illegible] ულთა [illegible] გამოთქვამენ [illegible]
ნინა გიორგის-ას. აბულაძის
უდროო [illegible] დაკრძალვა 1 აპრილს 5 საათზე [illegible] სასაფლაოზე. 23 5

[illegible] ცოლი ნინა [illegible] ოგო, სერი [illegible] ხლ[illegible]ები იუწყებიან. [illegible] თვის საყვარელი
შაქრო (მპიტო) ხოჯაევის
გარდაცვალებას. [illegible] აპრილს დღის 7 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 111. დაკრძალვა 12 აპრილს, 5 ს 230

[illegible] სის სამეურნეო [illegible] სტ. საგზაო ტრესტის თანამშრომელი
გრიშა ესტატე-ძე სურმავას
გარდაცვალების გამო [illegible] ხსოვნის [illegible] 11 აპრილს, სად 6 საათზე, ბ[illegible] [illegible] ქ. № 26. 232

დამწუხრებულნი: დები მარიამი, ანასტასია, ძმები: ზაქარია, ივანე, რძალი ნადია შვილებით დისწული თამარა ანჯაფარიძე იუწყებიან, რომ 12 აპრილს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფასი აგრონომის
ილია ლუარსაბის-ძე კიკნაძის
სამოქალაქო პანაშვიდი ქვ. 2297

მეუღლე ალექსანდრა, შვილები: ნინო, ლევანი, ქეთევანი, თამარი სიძეები: ბეგლარი, ალექსანდრე ფალავები და შვილები იუწყებიან, რომ 12 აპრილს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
ვასილ ქორქაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად ქვ. 2293

ნინელის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი გრიგოლ შენგელია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ტექნიკუმის მასწავლებელ გრიგოლ გაბედავას მამის
გუჯარიას
გარდაცვალების გამო ქვ. 2312

ღრმად დამწუხრებული ცოლი კეკელა, შვილი გრიგოლ, ძმა ვასილ გაბედავები იუწყებიან
გუჯარია გაბედავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 აპრილს ს. მუხურში ქვ. 2312

გულადდუღებულნი: ვერიჩკა და კოლია მახათაძეები ბუჩუთი ღრმა მწუხარებას განიცდით უახლოესი მეგობრის ელენე ბოჭორიშვილის დის, საყვარელ
თინიკოს (ცქრიალას)
გარდაცვალების გამო ქ. სამტრედიაში ქვ. 2298

გულმოკლული დედა ნინუცა, ცოლი მერი შვილებით: ლელა, იური, ძმები: ვალოდია, კანო, დები: ჭუჭულა ვერიჩკა, სიძე ლავრენტი სოსელია იუწყებიან, რომ 12 აპრილს ქ. ოზურგეთში დანიშნულია
ბიჭიკო (ვასო) ჩხაიძის
სამოქ. პანაშვიდი ქვ. 2299

დამწუხრებული ცოლი მარგო, შვილი ულეტა, ძმა მარკოზი, რძალი ჭუჭუ, ძმისწული მამია სურმავები იუწყებიან
გრიშა ესტატეს-ძე სურმავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 აპრილს. გამოსვენება ბელინსკის ქ. № 26, 4 საათზე ქვ. 2302

დამწუხრებული მშობლები: ილიკო, ლიზა, ძმა ვალოდია, რძალი ნინა სალუქაშვილები იუწყებიან, რომ 12 აპრილს 3 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას
ვასო სალუქაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად ქვ. 2307

დამწუხრებული დედა ლუცი (ანნა) ლოლუა, შვილებით: არეთა, ქეთო, ალიოშა, ლევანი ოჯახობით იუწყებიან, რომ 12 აპრილს 2 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ძვირფას
მაღია ლოლუა-ციხოვსკაიას
ხსოვნის აღსანიშნავად ქვ. 2310

ძალი ნინუცა, ძმისშვილები: კოკი, ჩაქურა, თამარა, ოლია სალაყაიები ღრმად დამწუხრებულნი დასტირიან მათთვის ძვირფას
კუკუ სალაყაია-ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება რუსთაველის პრ. № 30. 12 აპრილს 4 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე ქვ. 2314

აარიამ გველია შვილებით: თამარი, ქსენია, მიშა, ნინა, სიძეებით: გოგი ჯანგულაშვილი კოსტია შაპლახოვი, პატარიკიძე, მაჩიდა ცაცუ გველია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის საყვარელ მეგობრის
კუკუ ლორთქიფანიძის
გარდაცვალების გამო ქვ. 2306

ქალიშვილი თალიკო და სიძე დოროთეა ხოსელიძეები ღრმად მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დედის
ოლღა (კუკუ) ლორთქიფანიძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება რუსთაველის პროსპ. № 30 12 აპრილს 4 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე ქვ. 2284

უახლოესი მეგობრები: ა. კვირკველია, დ. ფირცხალავა, გ. ქაჩიბაია, დ. ბერაია, დ. ახალაია, კ. ლოლუა, ი. ნაჭყებია, შ. კვიკველია, ვ. ხარბედია, ე. ბეალავა, თ. ხაბურზანია, ა. ჩიქობავა, მ. ხარჩილავა, ბ. ცომაია, ა. ქუქავა იუწყებიან, რომ
ბენედიქტე ირაკლის-ძე პარკაიას
სამოქ. პანაშვიდი დანიშნულია ახალსენაკში. ს. ხორშში 12 აპრილს ქვ. 2259

სამუდამოდ გულმოკლული დაი მარუსია, სიძე კოლია შვილებით: ოთარი და ლამარა ზარიძეები იუწყებენ საზოგადოებას, რომ 12 აპრილს 1-ლ საათზე დანიშნულია
თამარა შანშიაშვილ-შერგელაშვილის
სამოქ. პანაშვიდი ქვ. 2268

დამწუხრებულნი: მეუღლე ბაბი შვილებით, ცოლისდა ალათი, დაი ანნა, სიძე ანტონი შვილებით და სიძეებით იუწყებიან, რომ საყვარელ და დაუვიწყარ
ლადი სიმონის-ძე თურქიას
ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი 12 აპრილს ქ. ოჩამჩირეში ქვ. 2288

ცოლი ნადია, შვილები: გრიშა, ოთარი, ძმა კოლია, რძალი მარგარიტა ქავთარაძეები, ცოლისძმა სერგო პატარქალაშვილი ოჯახით იუწყება, რომ 12 აპრილს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ალექსანდრე ბესარიონის-ძე ქავთარაძის
სამოქალაქო პანაშვიდი ქვ. 2294

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ელისაბედ, მეუღლე, ნინა, შვილები: მარო, არჩილ, ძმა სულიკო, ძმები: არჩილ, იაკობ, რძლები ლიდა, თამარა შვილებით ჩხაბერიძეები დასტირიან ძვირფას, საყვარელ
ილია პორფირის-ძე ჩხაბერიძის
უდროოდ დაღუპვას ქვ. 2308

ღრმად დამწუხრებული მშობლები: შარვანი და ანტისა, ძმები: დავითი, ლავრენტი, სილიბისტრო და ილუშა იუწყებიან მათთვის ძვირფას
კაკო ტუგუშავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 აპრილს ძველ აბაშაში ქვ. 2314

გულდამწვარი მეუღლე მაკრინე, შვილები: იროდიონი, შალივა, გივი და ნაზია იუწყებიან პირველის ძვირფასი მეუღლის, ხოლო დანარჩენთა საყვარელი მამის
კაკო ტუგუშავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 აპრილს ძველ აბაშაში ქვ. 2314

დები: დარიკო და დონიკო, სიძე სამუელ ქვებულიძე შვილებით: სოლომონი, არჩილი, გოგია, შალვა იუწყებიან, რომ 12 აპრილს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
ეკატერინე და მურმან ტუღმალაძეების
ხსოვნის აღსანიშნავად ქვ. 2295

დამწუხრებულნი: და ივლია, სიძე კოლია დისშვილები: ეთერი, პატარა რეზიკოთი ჯანჯღავები დავსტირით ძვირფას, საყვარელ
ილია პორფილეს-ძე ჩხაბერიძის
უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 12 აპრილს 6 ს. საბურთალოს ქ. № 44 ქვ. 2308

გულდამწვარი ხათისავები. ვანო, მელიტონ, კოლია, საშა, თინა, კოწია აბულაძეები, სანდრო სულამანიძე ცოლშვილით, ვანო რობაქიძე ცოლშვილით, სანდრო მექვაბიძე ცოლშვილით დავსტირით უდროოდ დაკარგულ
ილია პორფილეს-ძე ჩხაბერიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 აპრილს ქვ. 2308

ნინგლისის პედტექნიკუმის მასწავლებლები: შ. კაკაბაძე, ს. ძნელაძე, თ. ესაკია, გ. ცაგარეიშვილი, პ. იორბალიძე, ლ. შვ[illegible]ლიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სკოლის მასწავლებელ ამხ. გრიგოლ გაბედავას მამის
გუჯარიას
გარდაცვალების გამო ქვ. 2312

დამწუხრებული მეუღლე ნადია შვილებით, დები: მაშო, ლუბა, ძმები: ბესარიონი, ლეონტი, ვალოდია, ძერა ქუთათელები იუწყებიან, რომ 12 აპრილს 4 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი უსაყვარლეს
პავლე მიხეილის-ძე ქუთათელაძის
ხსოვნის აღსანიშნავად ქვ. 2298

დამწუხრებული მეუღლე ნინა შვილით ეკატერინე, პავლე, გიორგი ცოლშვილით, ქუმსიაშვილები, ელისაბედ ქმრიშვილით აივაზოვები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ სიძის
შალვა სიმონის-ძე იაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. საქობოში ქვ. 2315

უახლოესი მეგობრები: თ. ბუჯულაძე, ა. ბედია, გ. კლდიაშვილი, ი. ჭავჭანიძე, ი. ხუციშვილი, ა. სარქისოვი, გ. კვანტრიშვილი, ვ. ბუტკო, ე. იაროვი, გ. კაიშაური და ი. გაბარნიკი მწუხარებას გამოთქვამენ ამხ. ვიქტორ იაშვილის ძმის
შალვა იაშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო ქვ. 2265

დამწუხრებული მშობლები: ანნა, მიხეილი, ძმები: ოთარი, აკაკი, გუჯიკო კუბიაშვილები, ბიძა ვანო ცოლით მარიამით, იუწყებიან დაუვიწყარ პატარა
ც ი ც ო კუბიაშვილის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. წითელი-მთის ქ. № 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 12 აპრილს 4 ს. ქვ. 2306

და ოლია სიჭინავა ქმრით მალაქია და შვილებით: ზინა, ვალიკო, ძმა ნიკო ცოლშვილით, რძალი პელაგია შვილებით იუწყებიან
იასონ ლუკას-ძე ჩლაიძის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. სადგურის ქ. № 33, გამოსვენება 12 აპრილს 5 ს. ქვ. 2316

შვილები: შალვა, გურინი, მენონი, აკაკი, მარიამი, თამარი სიძეები: ანდრო ძიძიგური, ვანო ნიჟარაძე ოჯახით იუწყებიან რომ 12 აპრილს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ
დავით კანდელაკის
ხსოვნის აღსანიშნავად ქვ. 2317

დამწუხრებული ქმარი იოსები, შვილები: ლევანი, ნინა, ლუბა, რძალი ნინა, სიძე პა. შვილიშვილები, ძმა საშა, დები ქმრიშვილით იუწყებიან, რომ 12 აპრილს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
ალექსანდრა ჯაფარიძე-აბესაძის
სამოქ. პანაშვიდი ქვ. 2305

კოლია, ვანო, შურა მთვრალაშვილები მეუღლითურთ ანო, თამარა, მარო შვილებით უღრმესი მწუხარებით იუწყებიან სოფის — ლავრენტის დის, დაუვიწყარ
მარო ლაფანაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 აპრილს 5 ს. ბინიდან, გრიბოედოვის ქ. № 1. 6. 128

დამწუხრებული მეუღლე ფიდოსია, შვილი გოგოლა, ძმა არსენი მეუღლით, შვილები ჟელიანე, ბარდია მეუღლით ჯალაღანიები, და ბაბილინა შვილებით იუწყებიან, რომ 14 აპრილს სოფ. აბაშაში დანიშნულია
ლაზარე ჯალაღანიას
სამოქ. პანაშვიდი ქვ. 2301

გულდათუთქულნი შვილები: შუშანა და თამარი იუწყებიან, რომ 12 აპრილს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი მშობლების
ეკატერინე და მურმან ტუღმალაძეების
ხსოვნის აღსანიშნავად ქ. 127

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქუჩა 68 მთავლიტის რწმუნებული ა 1617